საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 20 აგვისტო, 2013 წელი.

№158 (7285)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

მოგვარდება არმიის კუჭის პრობლემა?

„როგორც კი დასრულდება გამოძიება და დადგინდება დამნაშავეები, თუკი გამოიკვეთა დანაშაული, აუცილებლად ჩემ მიერ იძნება უმკაცრესი ზომები მიღებული და თავები დაგორდება, თავები დაგორდება ყველასი, ვინც ვერ იაზრებს, თუ რა პასუხისმგებლობაა, როცა შენ გაბარია ჯარის კვება და ჯარის მომსახურება“.

4

პენსიების ზრდა და საარსებო მინიმუმის შემცირება

5

ზურაბ ადეიშვილი არც კი იძებნება!

ქართველები უცხოეთში ისვენებენ, აჭარაში კი ზარალს ითვლიან

2

საკაშვილს „ტოპონიმიკური ომი“ გამოუცხადეს

8

თბილისის აეროპორტს ზვიად გამსახურდიას სახელს დაარქმევენ?

გიგი უგულავას ბიუჯეტი – მგზავრების მკაცრად გაკონტროლების იმედად...

6

რიგითი კირვალიძის გადასარჩენად

4

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ მილოცვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას

ბატონო ვლადიმერ,

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სახელით, გულწრფელად გილოცავთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად არჩევას.

ვიმედოვნებთ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად თქვენი არჩევა დასაბამს მისცემს უნივერსიტეტსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლობის ახალ ეტაპს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით საგანმანათლებლო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

პატივისცემით
გურამ ალექსიძე,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი.

◎ ინფორმაცია

„ლეკვი ლომისა სწორიას" ქვეყანა მსოფლიოში 134-ე ადგილზეა

მსოფლიო ბანკის რეიტინგში, პარლამენტარი ქალების რაოდენობით, საქართველო მსოფლიოში 134-ე ადგილზეა. რეიტინგში პირველ ადგილზეა აფრიკული სახელმწიფო რუანდა, სადაც საკანონდებლო ორგანოში მომუშავეთა 56% ქალბატონია. მეორე ადგილზე, 50%-ით ანდორაა. სამეულშია კუბა, სადაც პარლამენტარი ქალების რაოდენობა 45%-ს შეადგენს.

ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან პირველ, ხოლო მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა შვეიცარია, რომლის პარლამენტშიც ქალბატონები პარლამენტართა 45%-ს შეადგენენ. რაც შეეხება ევროკავშირის დანარჩენ წამყვან ქვეყნებს, მათ შორის გერმანია რეიტინგში 26-ე ადგილზეა, საფრანგეთი — 27-ე, პოლონეთი — 59-ე, დიდი ბრიტანეთი — 65-ე, იტალია — 73-ე;

რაც შეეხება პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, აქ არც თუ ისე სახარბიელო მაჩვენებელია. 25% ქალი დეპუტატების რაოდენობით მხოლოდ ბელორუსმა გადალახა და საერთო რეიტინგში 43-ე ადგილი დაიკავა. აზერბაიჯანს რაც შეეხება, ეს ქვეყანა ქალ დეპუტატათა რაოდენობით — 102-ე ადგილზეა, რუსეთი — 119-ე, საქართველო — 134-ე, სომხეთი — 142-ე. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ყველაზე ცუდი მაჩვენებელი უკრაინას აქვს და ის 151-ე ადგილს იკავებს.

მსოფლიო ბანკის კვლევა 2012 წლის მაჩვენებლებზე დაყრდნობითაა მომზადებული.

◎ „ტურიზმი მოკვდა!"

ქართველები უცხოეთში ისვენებენ, აჭარაში კი ზარალს ითვლიან

ანომალიურმა უამინდობამ, და უცხოეთში დასვენების მზარდმა სურვილმა, ადგილობრივი საკურორტო ბიზნესი დააზარალა. მართალია, აჭარაში უცხოელი ტურისტების რაოდენობა გაიზარდა, მაგრამ სანაცვლოდ ადგილობრივების რიცხვი შემცირდა. მუდმივი წვიმებით გაბეზრებულმა ქართველებმა უცხოურ კურორტებზე გადაინაცვლეს.

ტურ-ოპერატორების ინფორმაციით, უცხოურ კურორტებს შორის დიდი ინტერესია ეგვიპტეს მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ქაოსია, ტურისტები უპირატესობას მაინც ეგვიპტეს ანიჭებენ. ქვეყანაში მიმდინარე არეულობის გამო საქართველოს საგარეო უწყებამ სპეციალური განცხადება გავრცელა და იქ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდა, განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ.

უწყების განცხადებაში აღნიშნულია, რომ კაიროში, ალექსანდრიასა და ეგვიპტის სხვა ქალაქებში მყოფმა საქართველოს მოქალაქეებმა უნდა გამოიჩინონ განსაკუთრებული სიფრთხილე. განსაკუთრებით უნდა მოერიდონ ეგვიპტის ტერიტორიაზე გადაადგილებას, დემონსტრაციებსა და მასობრივი თავშეყრის ადგილებს.

საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ამჟამად დასასვენებლად იმყოფებიან ეგვიპტის კურორტებზე, მათ შორის, ჰურგადაში, მუდმივი კონტაქტი უნდა ჰქონდეთ ტუროპერატორებთან. ქართველმა ტურისტებმა არ უნდა დატოვონ ტურისტული დასასვენებელი ზონების ტერიტორია.

კიდევ უფრო დიდი მოთხოვნაა თურქეთზე. ტურისტული კომპანია „მოგზაურთა კლუბის" ხელმძღვანელი ზურაბ ვაშალომიძე ამბობს, რომ ყველაზე მეტი მოთხოვნა სწორედ ამ მიმართულებითაა. ბოლო პერიოდში კი ამ ქვეყნის მიმართ ინტერესი უფრო გაიზარდა, განსაკუთრებით, ეგვიპტეში მომხდარი არეულობის გამო. თუმცა, ქართველი დამსვენებლები არც ეგვიპტეში დასვენებაზე ამბობენ უარს.

„თურქეთზე მოთხოვნა უფრო და უფრო მატულობს. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ეგვიპტეში არეულობაა. ჩვენი მოქალაქეებისთვის აღნიშნული კურორტები მისაღებია უვიზო სისტემისა და მომსახურების მაღალი პირობების გამო, რასაც საქართველოში ვერ შეხვდებით", — ამბობს ვაშალომიძე.

ექსპერტი ტურისტულ საკითხებში მარინა მეტრეველი აღნიშნავს, რომ აჭარის შავიზღვისპირეთის მიმართ ინტერესი განელდა კლიმატური პრობლემების გამო. ბუნებრივია, რომ ადგილობრივ ტურისტებს ეს მხარე დასასვენებლად ნაკლებად იზიდავს და არჩევანს აკეთებენ მზიან კურორტებზე, სადაც ფასი მისაღებია და მომსახურების პირობებიც საუკეთესოა.

ცალკერძ უამინდობამ და ცალკერძ უცხოეთში დასვენების მზარდმა სურვილმა შავი ზღვის-პირა ზოლში პრობლემები გააჩინა. აჭარელი ბინის მესაკუთრეები, ვინც საკურორტო ბიზნესით ირჩენს თავს, უკვე ზარალზე ალაპარაკდნენ.

ქობულეთელი მანანა ჯაფარიძე ამბობს, მისი შემოსავალი, შარშანდელთან შედარებით, დაახლოებით, 3 ათასი ლარით შემცირდა. ივლისში ქობულეთში იმასაც ამბობდნენ, რომ ტურიზმი მოკვდა და სიმბოლურად, ერთ-ერთ ბუნგალოსთან, ტურიზმის საფლავიც გააკეთეს.

„ივლისში ისეთი ცუდი ამინდები იყო, ვინც ჩამოდიოდა, მეორე დღისით ისევ უკან ბრუნდებოდა. შარშან ივნისი-ივლისი-აგვისტოს დასაწყისში ოთახების გაქირავებიდან 7 ათას ლარამდე ავიღე, წელს კი ანალოგიურ პერიოდში შემოსავალი 4 ათას ლარამდე მქონდა.

გარდა უამინდობისა, ქობულეთში ტურისტების სიმცირეს ხელი შეუწყო სომხეთში გავრცელებულმა დეზინფორმაციამ, თითქოს, აჭარაში რაღაც ინფექციური დაავადება იყო გავრცელებული. როგორც სომეხმა ტურისტმა მითხრა, მოგვიანებით აღნიშნულ საკითხზე ტელევიზიით სიუჟეტი გავიდა, სადაც საუბარი იყო, რომ არავითარი დაავადება აჭარის შავიზღვისპირეთში არ არის, მაგრამ მანამდე ატეხილმა პანიკამ ტურისტების რაოდენობაზე სერიოზული გავლენა ნამდვილად მოახდინა", - ამბობს ჯაფარიძე.

როგორც ჩანს, სერიოზულ ზარალს ვერც აგვისტო-სექტემბრის მზიანი ამინდები აანაზღაურებს, თუმცა მის ოდენობას კი, სავარაუდოდ, შეამცირებს.

ეკა ბაძრაძე

◎ გახსოვდეს, რომ ხარ ქართველი!

ენის წახდენა და ერის დაცემა ჩვენივე უჭკუობით?!.

ჩვენი ოფიციალური პირების გასაგონად

ამ ბოლო დროს სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ჩვენს მშობლიურ ქართულს ზუსტად ისე ვექცევით, როგორც ავი დედინაცვალი გერს. ეს გულსაკლავი ამბავი, სამწუხაროდ, ყოველ ნაბიჯზე ჩანს. თუნდაც ჩვენს ქალაქებს გადახედეთ — ქართული ასოები თითქმის გაქრა, ყველგან, ყველა აბრიდან ინგლისური ანბანი გვიჭყიტინებს. ამაზე, ბევრი იწერება, მაგრამ ნაყე წყალი რამდენიც გინდა!..

ალბათ, ბევრს ახსოვს ჩვენი ეგრეთ წოდებული პრეზიდენტი იტალიაში ინგლისურად რომ ალაპარაკდა ოფიციალურ შეხვედრაზე, იტალიის პრეზიდენტმა შეაჩერა და უთხრა, ან ქართულად გველაპარაკეთ, ან იტალიურადო, აქ ინგლისური არაფერ შუაშიაო...

სწორედ ეს ამბავი გამახსენდა 17 აგვისტოს ამჟამინდელი ჩინეთის ელჩის გაცილების საღამოზე. ჩინეთის ელჩი ჩინურად გამოვიდა, რომლის სიტყვაც სინქრონულად თარგმნა ქართველმა გოგონამ, რამაც ჩემსავით ძალიან ბევრი გაახარა. ჩინელი ელჩის გამოსვლა, ბუნებრივია, ინგლისურადაც გაჟღერდა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჯერ ქართულად ემცნო დამსწრე საზოგადოებას, რომლის უმრავლესობასაც ქართველები შეადგენდნენ.

და აი, მიკროფონთან მიდის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია. მიდის, მაგრამ რა?! როგორც ჩემ გვერდით მდგომმა ინგლისური ენის ერთერთმა ცნობილმა სპეციალისტმა მითხრა, ქართველი მოხელე თურმე ისე ამტვრევდა შექსპირისა და ბაირონის ენას, როგორც გულმოსული მეხრე სახრეს გადაამტვრევს ხოლმე გაოჩნებულ საქონელს... არც ერთი სიტყა ქართულად არ წარმოუთქვამს, არც გამარჯობა და არც მადლობაც კი!

არადა განა კარგი არ იქნებოდა, რომ ქართველი მინისტრის მოადგილეს ქართულად, რუსთაველისა და ბარათაშვილის ენით მისალმებოდა დამსწრე საზოგადოებას, რომლის ბევრი წევრიც ჩემსავით გაკვირვებული დარჩა მშობლიური ენის მიმართ ასეთი უპატივცემულობის საჯაროდ გამოხატვის გამო.

რა ენა წახდეს, ერი დაეცესო, რატომ არ გახსოვთ, პატივცემულო დავით ჯალაღანია, ჩვენი ერთ-ერთი დიდი წინაპრის გრიგოლ ორბელიანის ეს მუდმივად საგანგაშო სიტყვები?! თუ გახსოვთ, და არც არაფრად არ მიგაჩნიათ?! ეს კიდევ უფრო ბევრად უარესი უბედურებაა!

იქნებ ცოტა უფრო ღრმად დავფიქრებულიყავით, ქართველებო, ენის წახდენისა და შედეგად ერის დაცემის ფრიად და ფრიად საგანგაშო ამბავზე.

ენის წახდენა კი, უწინარესად, სწორედაც ენის მიმართ ოფიციალური უპატივცემულობით იწყება, რის მოწმენიც 17 აგვისტოს კიდევ ერთხელ გავხდით.

გურამ წიკლაური

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ოქრუაშვილმა ავტობუსების გაჩერებებზე რომ ჩამოიაროს არ შეიძლება, თუ ეგ მარტო აეროპორტებში დადის?

● ძაან მაგარი სვლა მოიფიქრეს ე.წ. „ქრისტიან-დემოკრატებმა".

აგროვებენ ხელმოწერებს ანტიპიდარასტული კანონის შესახებ და ამ ხელმოწერებს მერე წარადგენენ როგორც თარგამაძის საპრეზიდენტო კანდიდატად წამოჩიტების მხარდამჭერთა სიებს.

ოეეე, მეთოდები დაგიძველდათ ციყვებო!

● საპრეზიდენტო და სხვა არჩევნებში მონაწილეებს!

„პოსლეზე" ჩემს ხმას ვეღარ მიიღებთ. ჯერ მოგვიტანეთ ელემენტარული კეთილდღეობა და მერე ვილაპარაკოთ.

ახლა არ დამიწყოთ:

1. სანამ არ აგვირჩევთ მანამდე როგორ დაგეხმაროთო — ამაზე გპასუხობთ: მაშინ მე ამირჩიეთ და მე დაგეხმარებით.

2. ამომრჩევლის მოსყიდვაში ჩამეთვლებაო — თქვენ სამი მილიონი ამომრჩეველი მოისყიდეთ და თუ ვინმე რამეს იტყვის, მე პირადად გავუტეხავ იმ გამჭვირვალე არასამთავრობო თავს!

● ჩუკენობას, ჩიჩინსა და ჩაჩანობას მიდრეკილი დედაქალაქი.

● კანდიდატებო! ახლა არ დამიწყოთ დემოკრატიის ზეიმი, ცივილურ სამყაროსთან ინტეგრაცია, ინვესტიციების მოზიდვა, ავთენტურობის არარელევანტურობა ინსინიუაციების ჭრილში, პრიორიტეტები დ.ა.შ ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები.

არ დამიწყოთ პირადი ცხოვრების გახალხოსნურება. მაგ: — ქსოვა, შპალერის გაკვრა, ვენახში მუშაობა დ.ა.შ

სანამ არჩევნები დაიწყება ჩამოურბინეთ ყველა ჯურის კონტრალიორს, ბანკირს, სოცმუშაკს და სხვა წურბელებს.

საქმით დაგვანახეთ რისი გამკეთებლები ხართ, თორე „სიტყვები" იგეთი ვიცი, ემპაიერ სტეიტ ბილდინგზე მეტ სართულებს დავდგამ.

● ისე დაეცა და გაფარჩაკდა ჩასაფრებულია, ვინმე სადმე ან დაჭრან, ან მოკლან ან დაიკარგოს, რომ მივიდეს და ხალხზე მზრუნველის იერით, მოყვასზე გადაყოლილის იმიჯით, ისევ ქვეყნის ერთიანობას და წინსვლას ხელი შეუშალოს, ეს ადამიანის მორალურ გრძნობებზე სადისტურად მოთამაშე, თითქოს დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ რაც ხალხს ჩარეცხილებს ეძახდა, პოლიციას ქუჩაში ახალგაზრდების ჩახოცვისკენ მოუწოდებდა და სულში გვაფურთხებდა, მკვლელებსა და ჯალათებს კი შემდეგ ათასი ხარისხის ორდენებით აჯილდოებდა...

● რომ ავიღებ ახლა აგურს და დავაწერ მიყვარხარ... და გთხლიშავ თავში მერე მაინც მიხვდები რა მტკივნეულია ეს ოხერი სიყვარული ?!!

მოამზადა
გია გაბრიჭიძემ

რიგითი კირვალიძის გადასარჩენად

ჰოდა, ვისაც არ ეზარება, აქვს თუ არა ნანახი ტრაქტორი, იცის თუ არა, ხარია ის თუ კამეჩი, საკუთარი „კომპეტენტური“ აზრის გატანას ცდილობს.

ბატონი დავით კირვალიძე შეიძლება სოფლის მეურნეობის ურიგო მინისტრი არ იყო, მაგრამ ბოლო დროს ე.წ. „ტრაქტორების საქმეზე“ მედიაში ამტყდარ ალიაქოთს თანდართული ადგილობრივი თუ უცხოელი წონიანი ექსპერტების დირექტივანარევი განსჯა-შეფასება გონივრულ ეჭვს ბადებს, რომ ორჯერ ნამინისტრალ ბატონ დავით კირვალიძეს ყმაწვილკაცობაში მუშტი-კრივში დაოსტატების გარდა, როგორც ამას ექსპერტი, ბატონი სოსო ცისკარიშვილი გვიმხელს, პიარის კარგი სკოლაც უნდა ჰქონდეს გავლილი.

აქვე ბარემ ისიც უნდა ითქვას, რომ ბატონ სოსოს უკვე ისიც გაურკვევია, უსამართლოდ დაჩაგრულ ჩეხურ ტრაქტორს ავადმოსურნენი, უფრო სწორად ჯითი ჯგუფი, თურმე ჩუმად როგორ დასდევს უკან და მუშაობაში ხელი რომ შეუშალოს, ხან ქვიშანარევ საწვავს უსხამს ავზში, ხანაც გაურკვეველი ლითონის ნამსხვრევებს უყრის ძრავში. ჰოდა, რაღაა სადავო, ექსპლუატაციის ასეთ პირობებს ჩეხური ზეტორი კი არა, საბჭოური დტ-75-იც ვერ გაუძლებდა. მაგრამ უბედური ზეტორისთვის ეს რომ ეკმარებინათ, ვიღა ჩივის, ავისმოსურნეებმა უარესი უსამართლობა დაატეხეს თავს. ამ ხალხს როგორც კი ყური მოუკრავს, მძიმე ტრაქტორი უფრო კარგად ხნავს, ვიდრე მსუბუქიო, მაშინვე ჩეხური ტრაქტორისთვის 250 კილოგრამიანი ტვირთი მოუხსნიათ, 200 კილოგრამი კი ნიუჰოლანდისთვის დაუმატებიათ, მიუწერიათ. დარჩენილი 50 კილოგრამი სად წავიდა, გაურკვეველია. როგორც ჩანს, შეეშინდათ, ემანდ, ზედმეტი არ მოგვივიდეს და ნიუჰოლანდი მთლად წელში არ გავწყვიტოთო, მას ხომ ისედაც ნაკლები ცხენისძალები აქვს, ვიდრე — „ზეტორ პროქსიმას...“

ხუმრობა იქით იყოს და, მოდით, სერიოზულად შევხედოთ საქმეს.

როგორც ცნობილია, ამას თვითონ სპეციალისტები აცხადებენ, ნიუჰოლანდის 110 ცხენისძალიანი ტრაქტორი იმიტომ დაიწუნეს, რომ მისი სიმძლავრე არ აკმაყოფილებდათ, რადგან ამ ტრაქტორებს მთაგორიან ფერდობებზე უნდა ემუშავათ და ძალაც შესაბამისი სჭირდებოდათ, ამიტომ უპირატესობა 117 ცხენისძალიან ტრაქტორს მიანიჭეს.

> — ხარო, ხარო, რა გახარო,
> — რას მახარებ, რას?
> — შენი დასახნავი ყანა ტრაქტორს დაუხნავს!
> — რას ერევა ჩემს საქმეში, წავალ, ავკრავ რქას.

როგორ განხორციელდა ეს შესყიდვები, როგორ შეიცვალა ტენდერის პირობები და როგორ მოერგო იგი ზეტორს, ჩვენ ამის თაობაზე უკვე დავწერეთ. მაშინ ეჭვი გამოვთქვით, რომ ეს არ იყო იმ სიმძლავრის ტრაქტორები, რასაც აცხადებდნენ. როგორც ჩანს, ჩვენი ეჭვი გამართლდა! ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგებიდან ცნობილი გახდა, რომ 110 ცხენისძალიანმა ნიუჰოლანდმა ფერდობებზე კი არა, ვაკეზეც ყველა კომპონენტში დაჩაგრა 117 ცხენისძალიანი ზეტორი. ესეც რომ არ იყოს და მართლაც ზეტორს გაემარჯვა, სადაური წესია, მცირე სიმძლავრის ტრაქტორის უფრო მძლავრ ტრაქტორთან შეჯიბრება?! და თუ ამ შემთხვევაშიც პატარამ აჯობა დიდს, უფრო ძლიერს, რაღაა საკამათო?!



როგორც ვიცი, დავა იმაზე მიმდინარეობს, რომ შესყიდვა უსამართლოდ ჩატარდა, უპირატესობა უფრო ძვირ და ნაკლებხარისხიან ტექნიკას მიენიჭა.

დღეს, მგონი, მსოფლიოში საქართველოს გარდა, აღარავინ კამათობს ტრაქტორების ბრენდი — ნიუჰოლანდი სჯობს თუ — ზეტორი. ევროპის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მწარმოებელი ფირმების გამოკითხვებში, — იმიჯ-ბარომეტრებში, რომელსაც გერმანიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება, (DLG) პერიოდულად ატარებს, ზეტორი ჩეხეთშიც კი ბოლოსწინა ადგილზეა, ხოლო სხვა ქვეყნებში იგი მეტნაკლებად ცნობილი ს/ს ტექნიკის ათეულშიც ვერ ხვდება. ნიუჰოლანდი კი თითქმის ყველგან მესამე-მეოთხე ადგილზეა.

რა პრინციპით მიენიჭა ამ ტრაქტორს ნიუჰოლანდთან შედარებით უპირატესობა, ლეგიტიმურ კითხვებს ბადებს.

მეტიც, მოდავეების გამკვირვებია! 117 ცხენისძალიანი ტრაქტორი ყოველგვარი ზედმეტი ტვირთების დაკიდების გარეშე 110 ცხენისძალიან ტრაქტორზე მძიმე რომ უნდა იყოს, ეს ხომ ელემენტარული ტექნიკური საკითხია და ამას დიდი ექსპერტობა რაღად სჭირდება?!

სწორედ ამას ედავება სახელმწიფო ამ ტრაქტორის შესყიდვის მხარდამჭერებს, რომ ეს ტრაქტორი ტექნიკურად დახვეწილი არ არის და მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. როგორც ამბობენ, ამის გარდა სხვა ხარვეზებიც აქვს.

მეტიც, თუ ეს რეალურად 117 ცხენისძალიანი ტრაქტორი არ არის, რის ეჭვსაც ჩატარებული ექსპერიმენტი აჩენს, მაშინ საქმე უფრო რთულადაა.

არ მსურს, ჯითი ჯგუფის ადვოკატის როლში გამოვიდე, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, ვთქვა: მგონი, უხერხულია იმაზე ლაპარაკი, რომ ჯითი ჯგუფი ზეტორის ტრაქტორებს ავზში ქვიშიან საწვავს უსხამს და ძრავში ლითონის ნამსხვრევებს უყრის. ეს ამბავი გასული საუკუნის 30-იანი წლების ავადსახსენებელ ისტორიას მახსენებს, მოწამლული სიმინდის დათესვის ბრალდებით „ტროიკის“ სამსჯავროზე რომ გაყავდათ ხალხი. დღეს სერიოზული საქმისადმი ასეთი მიდგომა, მგონი, უხერხულია.

მე კი ვიტყვი: ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ჯითი ჯგუფის ოფისში, ნახავდა, რომ ეს იშვიათთა შორის ერთ-ერთი ევროპული ყაიდის დახვეწილი ქართული კომპანიაა, რომელსაც აქვს გამართული მომსახურების სერვისი და არა მარტო ტრაქტორებისთვის; მთელი ქვეყნის მასშტაბით ასაქმებს ასეულობით ადამიანს, ბიუჯეტს უხდის სოლიდურ გადასახადს. ვფიქრობ, ასეთი კომპანიისთვის ერთ ტენდერში გამარჯვება ან დამარცხება გადამწყვეტი არ უნდა იყოს. სიმართლე უფრო ის მგონია, რომ კომპანია ხელების გადაგრეხვით დამარცხებას ვერ ეგუება და აპროტესტებს. რა არის ამაში ან მიუღებელი, ან გასაკვირი?!

ჩვენმა საზოგადოებამ 2012 წლის არჩევნებზე ხომ სამართლებრივი, ევროპული ყაიდის ქვეყნის აშენებას დაუჭირა მხარი?!

ამიტომ შეთქმულების თეორიების შეთხზვა და ასეთი კომპანიების წინააღმდეგ შავი პიარის აგორება არც სახელმწიფო უწყებებისთვისაა კარგი, არც ექსპერტებისთვის და არც ბიზნესისთვის.

რატომღაც მგონია, რომ მთელი ეს აურზაური ერთი კაცის იმიჯის გადასარჩენად არის ატეხილი.

ნესტან გუგუშვილი

P. S. აძვე უცვლელად გთავაზობთ ოთხი კომპანიის ხელმძღვანელთა წერილს, რომლითაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა კომპანიებმა მიმართეს სოფლის მეურნეობის მინისტრს ბატონ დავით კირვალიძეს, რაზედაც მათ არანაირი პასუხი არ მიუღიათ, არც არაფერი შეუცვლიათ და ტექნიკის შესყიდვა განხორციელდა ისე, როგორც განხორციელდა.

გაეცანით წერილს და თავად განსაჯეთ, როგორ სამართლიანად და გამჭვირვალედ მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვის პროცესი:

„როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი კომპანიები, შპს „ჯი თი გრუპი“, შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასი“; შპს „მსოფლიო ტექნიკა“, შპს „გეოაგრო“, ვართ თქვენს მიერ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვის პროცედურისათვის შერჩეული კომპანიების წარმომადგენლები საქართველოში. გაგვაჩნია მრავალწლიანი გამოცდილება, როგორც ასეთი ტიპის ტექნიკის გაყიდვების, ასევე მისი მომსახურების, გვყავს კვალიფიციური პერსონალი და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

თქვენს მიერ 2012 წლის 28 დეკემბერს ტექნიკის მწარმოებელ კომპანიებში გაგზავნილ იქნა საინფორმაციო წერილი. მიუხედავად იმისა, რომ ვართ ერთმანეთის კონკურენტები ბაზარზე, ჩვენს პარტნიორ მწარმოებელ კომპანიებთან შეთანხმებით, ვაფიქსირებთ ერთიან პოზიციას აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით.

1. შესყიდვის ჩატარების გამჭვირვალეობისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მოწვეულმა კომპანიებმა თავად ან წარმომადგენლების მეშვეობით, მოახდინონ წინადადებების წარმოდგენა დალუქულ პაკეტებში თქვენს მიერ დადგენილ დროსა და ადგილზე. მათი გახსნა მოხდეს საჯაროდ და გამოცხადებული იქნეს შეთავაზებული მოდელები, ფასები და მიწოდების ვადები.

2. წინადადების წარდგენის ბოლო ვადად განსაზღვრულია 2013 წლის 7 იანვარი, 6 საათი ცენტრალური ევროპის დროით. იქიდან გამომდინარე, რომ საშობაო არდადეგების გამო ევროპელი მწარმოებლების გარკვეული ნაწილი მხოლოდ 7 იანვარს ანახლებს მუშაობას, მიზანშეწონილია გადაიწიოს წინადადების წარდგენის ვადა.

3. არ არის ცნობილი შესყიდვის ჩატარების წესი. ასევე, იქნება თუ არა წინადადებების წარდგენის შემდეგ ვაჭრობა და როგორი წესით ჩატარდება ის.

4. საინფორმაციო წერილში არ არის განმარტებული რა კრიტერიუმით ისელმძღვანელებს შემსყიდველი წინადადებების შეფასებისას. აუცილებლად მიგვაჩნია ამ კრიტერიუმების განსაზღვრა წინასწარ, რათა მონაწილეებმა წინადადება მოამზადონ მათი გათვალისწინებით.

5. არ არის განსაზღვრული სატენდერო წინადადების შეფასების ვადები და კონტრაქტის გაფორმების თარიღი.

6. მიღებულ წერილს არ ახლავს ხელშეკრულების დრაფტი. ამ დრაფტის არსებობა ერთის მხრივ, აუცილებელია იმისათვის, რომ მონაწილემ წინადადების შედგენისას გაითვალისწინოს ხელშეკრულების პირობები და მეორეს მხრივ, თავიდან იქნას აცილებული გაჭიანურებული მოლაპარაკებები და მოსალოდნელი გაუგებრობები, ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

7. წერილში მითითებული გადახდის პირობებით, დაშვებულია 15 %-ის საავანსო ანგარიშსწორება მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე, ხოლო 85%-ის გადახდა უნდა მოხდეს მიწოდების და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდეგ. აუცილებელი იქნება აღნიშნულ 85%-ზე შემსყიდველმა წარუდგინოს მწარმოებელს საბანკო უზრუნველყოფა ტვირთის ტრანსპორტირების დაწყებამდე.

8. როგორც წერილიდან ჩანს, აუცილებელ მოთხოვნად არ არის დაფიქსირებული გამოცდილი დილერის არსებობა საქართველოში, რაც ჩვენი აზრით არასწორია. ჩვენმა კომპანიებმა წლების განმავლობაში საკმაოდ დიდი ინვესტიციები განახორციელეს, როგორც სერვისისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ასევე კვალიფიციური პერსონალის მომზადებისათვის, რისი არსებობის გარეშეც ფაქტობრივად შეუძლებელია ტექნიკის სრულყოფილად ექსპლუატაცია.

ვიმედოვნებთ, რომ თქვენს მიერ გათვალისწინებული იქნება ჩვენი შენიშვნები, რაც ხელს შეუწყობს შესყიდვის სამართლიან პირობებში ჩატარებას“.



◎ მოლოდინი არ გამართლდა

მოგვარდება არმიის კუჭის პრობლემა?

საძართველოს ხელისუფლება, რომელიც სამხედრო მშენებლობაში უწყვეტ პროგრესზე საუბრობს, ჯერჯერობით გაჭირვებით ახერხებს ჯარის ხარისხიანი პროდუქტით გამოკვებას. ერთი თვის წინ, როდესაც საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-3 ქვეითი ბრიგადის ბაზაზე 11 სამხედრო მოსამსახურე საკვებით მოიწამლა, თავდაცვის მინისტრი დამნაშავეებს „თავების დაგორებით“ დაემუქრა.

ამ შემთხვევაში ირაკლი ალასანია უკვე აღარ დამუქრებია ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომელთა შეცდომებზე გაუთავებელი აპელირება დღემდე ძალიან უყვართ ახალი ხელისუფლების ლიდერებს. ეს აშკარად კონტრპროდუქტიული იქნებოდა, რადგან პრობლემის მოგვარებას, რაც ქართული ჯარის ხარისხიანი საკვები პროდუქტებითა და მრავალფეროვანი რაციონით უზრუნველყოფას გულისხმობს, თავდაცვის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა პირად შემადგენლობას ჯერ კიდევ ახალი წლის დასაწყისში დაპპირდა.

უცნაური კომპანია სახელად „ქართული კვება“

„იგეგმება ხარისხის გაუმჯობესება სხვადასხვა პროდუქციისათვის. მაგალითად, ჯარის მენიუში მეორე კატეგორიის საქონლის ხორცს შეცვლის პირველი კატეგორიის ხორცი, რომლის გემოვნური და ხარისხობრივი მაჩვენებლები გაცილებით მაღალია,“ — განაცხადა გასული წლის ბოლოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „ქართული კვების კომპანიის“ ხელმძღვანელმა ნინო გორგაძემ.

თავდაცვის სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ ჯარისკაცების კვების გაუმჯობესება და პირველი კატეგორიის ხორცეულზე გადაყვანა სწორედ ამ უცნაური სახელწოდების მოიჯარე კომპანიას დაავალა. ამ უკანასკნელმა კი ამოცანის შესასრულებლად, ფასების კოტირების მეთოდის გამოყენებით, საჯარო შესყიდვის დაწყებაზე ტენდერი გამოაცხადა.

თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, კომპანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებული იყო ტენდერის წარმატებაში და, მეტიც, მოელოდა, რომ ტენდერში გამარჯვებული ფირმები „ხარისხის ზრდასთან ერთად ფასებს შეამცირებდნენ“.

თუ როგორ უნდა მომხდარიყო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხარისხის ზრდასთან ერთად ფასების შემცირება, ეს დღემდე გამოცანად რჩება. მაგრამ ამ უცნაურმა ტენდერმა მიზანს რომ ვერ მიაღწია, შეგვიძლია, ვიმსჯელოთ იმ სკანდალის მიხედვით, რომელიც ივნისის დასაწყისში ჯარისკაცების სწორედ საკვები პროდუქტით მოწამვლის ფაქტს მოჰყვა. საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-3 ქვეითი ბრიგადის ბაზაში ივნისის დასაწყისში მომხდარ ამ უსიამოვნო ფაქტზე საპარლამენტო უმცირესობის — „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გივი თარგამაძემ პრესკონფერენცია მოიწვია და 11 სამხედრო მოსამსახურის მოწამვლის მიზეზად კვების პროდუქტების შესყიდვაზე სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერის მიკერძოებულად ჩატარება დაასახელა:

„ოთხივე ლოტში არის გამარჯვებული სამად სამი ფირმა. აქედან ერთ-ერთი, რომელსაც ყველაზე მსხვილი ლოტი აქვს მოგებული 19-მილიონიან და 39-მილიონიან (ლარში. — რედ.) კვების ტენდერში, — კიდევ ერთხელ მინდა ამას ხაზი გავუსვა, — ამ ფირმის სახელწოდება არის შპს „ელექტრომონტაჟსერვისი“. აქედან გამომდინარე, თუკი ენერგეტიკოსები აჭმევენ ქართულ ჯარს, ასეთი მოწამვლის ფაქტი კიდევ უფრო საავარაუდო იქნებოდა იმთავითვე“.

გივი თარგამაძეს, რომელიც წინა მოწვევის პარლამენტში, „ერთიანი ნაციონალური მოძრობის“ ჰეგემონიის დროს, 5 წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე იყო, ახალი უმრავლესობის წარმომადგენლებმა ამ კომენტარის გამო მინისტრ ირაკლი ალასანიასადმი „პირად ზიზღში“ დასდეს ბრალი და კიდევ ერთხელ შეახსენეს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დატოვებული მძიმე მემკვიდრეობა.

თავდაცვის მინისტრის იდიომატური მუქარა

თუმცა, თავად ირაკლი ალასანიას ჯარისკაცების მოწამვლასთან დაკავშირებით „სამ დურაკის“ პრინციპით თავის მართლება არ უცდია. ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის 12 ივნისის გადაცემა „პოზიციაში“ სტუმრობის დროს თავდაცვის მინისტრმა მკაცრად ილაპარაკა ჯარის საკვები პროდუქტით უზრუნველყოფის საქმეში გამოვლენილ ხარვეზებზე და მისთვის საერთოდ არადამახასიათებელი მეტად საშიში იდიომატური გამოთქმა იხმარა:

„როგორც კი დასრულდება გამოძიება და დადგინდება დამნაშავეები, თუკი გამოიკვეთა დანაშაული, აუცილებლად ჩემ მიერ იძნება უმკაცრესი ზომები მიღებული და თავები დაგორდება, თავები დაგორდება ყველასი, ვინც ვერ იაზრებს, თუ რა პასუხისმგებლობაა, როცა შენ გაბარია ჯარის კვება და ჯარის მომსახურება“.

თავდაცვის მინისტრის ამ მკაცრი განცხადებიდან თვეზე მეტი გავიდა და ჯერჯერობით არავის „თავი არ დაგორებულა“ — ყველა, ვისაც არმიის „კვება და მომსახურება ებარა“, თავის ადგილზეა. შეიცვალა მხოლოდ უცნაური სახელწოდების სამხედრო-სამოქალაქო სტრუქტურის - „ქართული კვების კომპანიის“ — მენეჯმენტი. კომპანიის ახალმა ხელმძღვანელმა გიორგი როგავამ 13 აგვისტოს ჟურნალისტებს ახალი მმართველობა და ახალი სტრატეგიის მონახაზი გააცნო და იქვე, როგორც ეს ახალ უფროსობას სჩვევია, ხაზი გაუსვა იმას, რომ, მართალია, ბევრი პრობლემა დახვდათ, მაგრამ უკვე შეისწავლეს ისინი და დაწყებულია მათი მოგვარება:

„როგორც თქვენთვის ცნობილია, ივლისის თვეში კომპანიაში მოხდა მენეჯმენტის ცვლილება გარკვეულ პრობლემებთან დაკავშირებით და ახალი მენეჯმენტის პრიორიტეტია კვების ხარისხის გაუმჯობესება. ამ მიზნით მოხდა კომპანიაში ახალი 25 ეკონომიკური ტენდერის გამოცხადება სხვადასხვა საკვები პროდუქტის შესყიდვაზე, ასევე გადაიხედა თითოეული თანამშრომლის საქმე ინდივიდუალურად და მოემატათ ხელფასები 25 %-ით მათი მოტივაციის ამაღლების მიზნით. ასევე ვაპირებთ მათ ტრენინგებს და კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც პირდაპირპროპორციული იქნება საკვები პროდუქციის ხარისხიან წარმოებასთან“.

მოკლედ, თუკი 11 ჯარისკაცის საკვები პროდუქტით მოწამვლის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს მოკლედ აღვწერთ, ასეთი სურათი იქმნება: თავების დაგორების — ანუ ვინმეს მკაცრად დასჯის — ნაცვლად, სამინისტრო წახალისების გზით წავიდა. შეიცვალა მხოლოდ ჯარის მომარაგებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურის — „ქართული კვების კომპანიის“ — ხელმძღვანელობა. სხვა თანამშრომლებს ჯერ მოემატათ ხელფასები და მხოლოდ შემდეგ დაიწყო მათი ტრენინგი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რაც, როგორც სამინისტროში ვარაუდობენ, პირდაპირპროპორციულად გაზრდის პროდუქციის ხარისხიან წარმოებას.

პრობლემების მოგვარების აი, ასეთი ფორმულა მოძებნა „ქართული კვების“ კომპანიამ, რომელიც ჯერ კიდევ ახალ წელს ჰპირდებოდა ჯარს მაღალი „გემოვნური და ხარისხობრივი მაჩვენებლების“ მქონე პროდუქტებით უზრუნველყოფას. მართალია, მოლოდინი არ გამართლდა, მაგრამ სამხედრო უწყების ხელმძღვანელობამ ამ სტრუქტურის საერთოდ გაუქმებას ან სამინისტროს კედლებს გარეთ მის გატანას, ბოლოს, მაინც ამჯობინა, დაეტოვებინა „ქართული კვების კომპანია“ და მიეცა მისთვის კიდევ ერთი შანსი სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფი მცირერიცხოვანი ქართული ჯარის ერთხელ და სამუდამოდ ხარისხიანი პროდუქტით უზრუნველსაყოფად.

კოგა ლიკლიკაძე,
რადიო „თავისუფლება“

◎ სამეგრელოს მხარე

გალში პრობლემის მოგვარება განათლების სფეროდან უნდა დაიწყოს

გალის აფხაზური ადმინისტრაციის გამგედ ამ დღეებში დაინიშნა აფხაზური ენა-ლიტერატურის სპეციალისტი, ოჩამჩირის მკვიდრი ბესლან ქანთარია. ამ საკითხთან და გალის რაიონში განათლების სფეროში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, აფხაზეთის განათლების მინისტრი დაურ ნაჭყებია გალის რაიონის განათლების სფეროს წარმომადგენლებს შეხვდა.

გალის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ბ. არშბას განცხადებით გალის რაიონის სოფლების სკოლების

უმრავლესობა არის ქართულენოვანი და ამ სკოლებში ძალიან ცუდად ისწავლება აფხაზური და რუსული ენები. „ამ სოფლების ახალგაზრდებმა არ იციან აფხაზური და რუსული ენები და ლაპარაკობენ მეგრულად და ქართულად, რაც ხელს უშლის მათ ინტეგრაციას საერთო აფხაზურ სივრცეში. გალის რაიონის სკოლადამთავრებულები ირიცხებიან არა აფხაზეთის, არამედ საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, ამით სარგებლობენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები და ინარჩუნებენ გავლენას გალის რაიონში. გალის რაიონის სოფლების სკოლებში საქართველოს ისტორიას და საქართველოს გეოგრაფიასაც ასწავლიან, სადაც აფხაზეთი საქართველოს ნაწილად არის მიჩნეული. ეს არის საგანგაშო და ეს უმსგავსოებები უნდა აღვკვეთოთ“, — აღნიშნა ბ.არშბამ.

განათლების მინისტრის დაურ ნაჭყებიას განმატებით კი გალის რაიონი არის ძალიან რთული რაიონი და ამიტომაც არსებობს მრავალი პრობლემა და პირველ რიგში ამ პორობლემების მოგვარება უნდა დაიწყოს განათლების სფეროდან.

„აფხაზეთის ხელისუფლება და განათლების სამინისტრო ვერაფრით ვერ შეურიგდება იმას, რომ გალის სკოლებში ისწავლებოდეს საქართველოს ისტორია და საქართველოს გეოგრაფია და ასევე არ უნდა დავუშვათ, რომ გალის რაიონის მასწავლებლებზე ხელფასები გასცეს საქართველოს განათლების სამინისტრომ.“ განაცხადა დაურ ნააჭყებიამ.

გალელებმა აფხაზური და რუსული არ იციან!

გავრცელებული ვერსიით გალის რაიონში მცხოვრებნი თითქმის ერთი წელია, ვერ იღებენ აფხაზურ პასპორტებს, რადგან აფხაზეთის ხელისუფლება თავს იკავებს მათთვის პასპორტების გაცემისგან. ამ საკითხის გარკვევის მიზნით სოხუმიდან გალში ჩამოვიდნენ აფხაზი მეცნიერები, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლები.

გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ბ.არშბამ მეცნიერებს განუცხადა, რომ გავრცელებული ვერსია გალის რაიონის მცხოვრებთათვის პასპორტების არ გაცემის შესახებ არ შეესაბამება სიმართლეს და წარუდგინა მათ შესაბამისი დოკუმენტები, რომლის საფუძველზეც გალის რაიონის მოსახლეობისათვის მოქალაქეობის მინიჭება და საერთო აფხაზური პასპორტების გაცემა ხდება . „როგორ შეიძლება არ მივცეთ პასპორტები ჩვენი რაიონის მოსახლეობას, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძვიან და შრომობენ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ“, — აღნიშნა ბ.არშბამ.

შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის და გააკონტროლებს გალის რაიონის მოსახლეობისთვის საერთო აფხაზური პასპორტების გაცემის საკითხს.

ლადო ძირია,
ზუგდიდი

SIC!

კიდევ ერთი სამართლებრივი კრახი

ზურაბ ადეიშვილი არც კი იძებნება!

შს სამინისტროს ვებ გვერდზე განთავსებულ ინტერპოლის ძებნილთა სიის გაცნობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი, ბატონი ზურაბ ადეიშვილი საქართველოს სამართალდამცველების მიერ, შემდგომი ექსტრადიციისა და პასუხისგებაში მიცემის მიზნით არ იძებნება.

— იმ ფონზე, როდესაც ოფიციალური პირების განცხადებებში ადეიშვილის შესახებ, მის მოქმედებებში იკვეთება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი დანაშაულის ნიშნები და როდესაც საქართველოს პრეზიდენტმაც არაერთხელ დაადასტურა სატელევიზიო ინტერვიუებში, რომ არსებობს კონკრეტული კითხვები ადეიშვილის მიმართ, ასეთი მიდგომა გაუგებარია, — აცხადებენ საქართველოს ევროპულ ფასეულობათა ინსტიტუტში.

როგორც საქართველოს ევროპულ ფასეულობათა ინსტიტუტში აცხადებენ, ეს ბადებს საფუძვლიან ეჭვებსა და კითხვებს, კერძოდ, მიმდინარეობს თუ არა გამოძიება ზურაბ ადეიშვილის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით? დადებით შემთხვევაში რა მუხლებით? არის თუ არა იგი დაუსწრებლად მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში? რატომ არ არის გამოცხადებული საერთაშორისო ძებნაში ინტერპოლის წითელი ცირკულარით? არის თუ არა ცნობილი მისი ადგილსამყოფელი და მიმდინარეობს თუ არა მისი ექსტრადიციისთვის საჭირო პროცედურების განხორციელება?

ზურაბ ადეიშვილს პირველი ბრალი ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში წაუყენეს, თუმცა, პროკურატურაშიც ადასტურებენ, რომ ის საერთაშორისო ძებნაში არ არის, რადგან როგორც ირკვევა, ინტერპოლში გადასაგზავნ საჭირო დოკუმენტაცია მეორე ნაწილი მხოლოდ ახლა მზადდება. საქართველოს იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა საქართველო 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ერთ-ერთმა პირველმა დატოვა.

პარალელურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ ადეიშვილი უკვე ევროკავშირის სახელმწიფოს მოქალაქეა. უფრო მეტიც, იგი სახელმწიფო სამსახურშია და მისი თვიური შემოსავალი 8 ათას ევროს აღწევს. ქვეყნის დატოვებიდან მესამე დღეს ავსტრიიდან უნგრეთში გადაინაცვლა და უნგრეთის მოქალაქეობა მიიღო. მოქალაქეობის მიღებიდან რამდენიმე ხანში ადეიშვილი უნგრეთის ვიცე-პრემიერის, იუსტიციისა და სახელმწიფო მართვის მინისტრის ტობორ ნავრაჩიჩის მრჩეველი გახდა. **როგორც ცნობილია ადეიშვილმა განათლება ბუდაპეშტში მიიღო.**

ადეიშვილი რადგანაც წითელი ცირკულარით არ იძებნებოდა, გარდა დსთს ქვეყნებისა, ევროკავშირის წევრ ნებისმიერ ქვეყანას ჰქონდა უფლება მისთვის მოქალაქეობა მიენიჭებინა.

იურისტ ლია მუხაშავრიას თქმით, ეს ფაქტი ამბობს იმაზე მეტს, ვიდრე შეიძლება ჩვენს პროკურატურას, შსს-ს და საგარეო საქმეთა სამინისტროს უნდა. ეტყობა, ზურაბ ადეიშვილის წინააღმდეგ არც იყო აღძრული საქმე.

— საქმე რომ აღძრულიყო მაშინ გამოვიდოდა დადგენილება მისი ძებნის შესახებ. არის ორი ვერსია, რომ ადეიშვილის წინააღმდეგ ბრალდებები არ არსებობდა და სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ იყო, მეორე ვერსით - ვვარაუდობ, იმის გამო, რომ ჩვენ შევირცხვინეთ თავი როგორც სახელმწიფომ და როგორც ქვეყანამ, რომელმაც უსაფუძვლოდ პოლიტიკური ნიშნით, თავისი ყოფილი პოლიტიკური ოპონენტების დევნა დაიწყო, ამის გამო შესაძლოა, კი იყო ძებნაზე განაცხადი, მაგრამ ევროპულმა სახელმწიფოებმა ის არ ჩათვალეს საფუძვლიანად.

— რამდენჯერმე გვითხრეს, რომ გამოცხადებულია ძებნა, რომ დაუსწრებლად შეუფარდეს აღკვეთის ღონისძიება. ე.ი. ეს ყველაფერი იყო ბლეფი. ევროკავშირის და ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებს აქვთ ერთიანი პოლიტიკა და ერთიანი სტანდარტები ასეთი შემთხვევებისთვის. ერთია, რომ არ იყო დევნა და სისხლის სამართლის საქმე და მეორე, კიდევ უარესია, რომ გამოცხადებული იყო ძებნა და ეს არ ჩაითვალა საკმარისად კანონიერ საფუძვლად იმისათვის, რომ მის წინააღმდეგ რაიმე ღონისძიებები განხორციელებულიყო, — აცხადებს ლია მუხაშავრია.

მისივე განცხადებით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც გენერალურ პროკურატურას, ასევე შსს-ს და საგარეო საქმეთა სამინისტროს.

— იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში არის უპასუხისმგებლობის, არაპროფესიონალიზმის და არაკვალიფიციურობის ზეიმი, ეს დასტურდება ადეიშვილის საქმით. ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენ ვართ იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომელსაც ერთ-ერთი დიდი დამნაშავის საქმის წარმოებისა და სისხლის სამართლის გამოძიების თავი და უნარი არ შესწევს. არ ვიცი, ეს იყო კორუფციული გარიგება და ადეიშვილმა გადაიხადა ამაში თანხა, თუ გამოიყენა თავისი კავშირები, ფაქტია, რომ ეს არის ჩვენი ახალი სახელმწიფოს სრული სამართლებრივი კრახი. ჩემი აზრით, პარლამენტში უნდა შეიქმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც გამოავლენს თითოეულ საჯარო მოხელეს, ვისი „მოღვაწეობითაც“ ასეთი სამარცხვინო შედეგი დადგა, — აცხადებს ლია მუხაშავრია.

თამთა ქარჩავა

ჩვენი სოციალური ყოფა

პენსიების ზრდა და საარსებო მინიმუმის შემცირება

საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება და პრეზიდენტობის მსურველთაგან სულ უფრო მეტი ეკონომიკური ხასიათის განცხადება ისმის. მათ შორისაა დაპირებები პენსიის გაზრდის თაობაზე. თავდაპირველად მკითხველის ყურადღებას პენსიებთან დაკავშირებით მმართველი პოლიტიკური ძალის — „ქართული ოცნების“ — კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის პოზიციაზე შევაჩერებ.

გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს რეგიონებში მოსახლეობასთან რამდენიმე შეხვედრა გამართა. მას თან ახლდა ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადურიც. შიდა ქართლის სოფელ მეჯვრისხევში სტუმრობისას გიორგი მარგველაშვილს და ნოდარ ხადურს ერთ-ერთი გლეხი გამოელაპარაკა: **„ივანიშვილმა ხომ თქვა, რომ პენსიას გაგიზრდითო. რაც გვაქვს, ის წინა მთავრობამ გაგვიზარდა“.** ამ განცხადებას ჯერ პრეზიდენტობის კანდიდატის, შემდეგ კი ფინანსთა მინისტრის პასუხი მოჰყვა. მათი დიალოგი „შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრმა“ ჩაიწერა.

გიორგი მარგველაშვილი: „პენსია ძველმა მთავრობამ კი არა, ამ კაცმა გაზარდა“.

ნოდარ ხადური: „ივანიშვილს ეგრე არ უთქვამს. ივანიშვილმა თქვა, რომ პენსია საარსებო მინიმუმს გაუტოლდება. საარსებო მინიმუმი კი ამჟამად 146 ლარია. 125 ლარი გაქვთ და წინა მთავრობამ როგორ გაგიზარდათ? 150 ლარი სექტემბრიდან გექნებათ. ახლა მე შემიძლია ფული დავბეჭდო და მოგცეთ. მერე იცი, სად წავა ფასები? კოსმოსში. მე რომ სტუდენტი ვიყავი, 15 მილიონი მქონდა სტიპენდია, ოღონდ კუპონი. თუ ეკონომიკა არ განვითარდება, სხვანაირად შეუძლებელია“.

ნოდარ ხადურის მიერ ნახსენები 150-ლარიანი პენსიის დაწესების მთავარ არგუმენტად საარსებო მინიმუმი სახელდება. უახლესი გაანგარიშებით, ის, შარშანდელთან შედარებით, რამდენიმე ლარით შემცირდა და ახლა თითქმის 145 ლარს შეადგენს. სწორედ საარსებო მინიმუმთან პენსიის გათანაბრება იყო კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო ლოზუნგი ერთი წლის წინ. მაგრამ მაშინ კოალიციის ლიდერები საარსებო მინიმუმს არა თუ ამცირებდნენ, არამედ აორმაგებდნენ. მაგალითად, საპარლამენტო არჩევნების წინ ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ საარსებო მინიმუმი 220 ლარს შეადგენს: **იმ კალათის შესაძენად, რომელიც ჯანმრთელობის სამინისტროში იყო შედგენილი და 2003 წლამდე მოქმედებდა, დღეს ადამიანს, სავარაუდოდ, ალბათ, 240-250 ლარი დასჭირდებოდა, ძალიან უხეშად რომ დავთვალოთ...**

— სოციალური რეფორმა ჩვენს ქვეყანაში განხორციელდება იმ გეგმით, რომელიც ჩვენ ერთად, „ქართულმა ოცნებამ“, შევიმუშავეთ და ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა პენსიონერს მინიმალური პენსია განესაზღვრება არანაკლებ საარსებო მინიმუმისა; ეს ნიშნავს იმას, რომ დღესვე ის რეფორმა რომ განხორციელდეს, დღეს პენსიონერს არანაკლებ 220 ლარისა ექნება პენსია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, — ამბობს ხადური.

კოალიციის ლიდერებიდან ირაკლი ალასანია არ იყო ერთადერთი, ვინც 155-ლარიან საარსებო მინიმუმს აკრიტიკებდა. მაგალითად, ამჟამინდელი ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ორიოდე წლის წინ ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში საარსებო მინიმუმის 250 ლარამდე გაზრდის შესახებ საუბრობდა.

პრემიერი ბიძინა ივანიშვილი კი ხალხს აიმედებს: დღესაც შემიძლია გავიმეორო იგივე, რომ აუცილებლად ასე უნდა იყოს და ჩვენ უახლოეს მომავალში ვგეგმავთ მივაღწიოთ ასეთ ციფრს, ასეთ მნიშვნელობას, მაგრამ არ გვაქვს კონკრეტული დრო დაფიქსირებული...

თავად მმართველი პოლიტიკური ძალის ლიდერ ივანიშვილსაც არაერთხელ აღუნიშნავს საარსებო მინიმუმის დაბალი დონე. მან საპარლამენტო უმცირესობასთან რამდენიმე თვის წინ გამართულ შეხვედრაზე ირაკლი ალასანიას დაპირების კომენტირებისას განაცხადა, რომ კოალიციის მიერ ცვლილებების კონკრეტული თარიღი დასახელებული არ ყოფილა.

სანამ ბიძინა ივანიშვილის მიერ ნახსენები დრო მოვა, საარსებო მინიმუმი კლებას განაგრძობს. მისი გამოანგარიშება ხდება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ 2003 წელს დადგენილი კალათის მიხედვით, რომლის 70 პროცენტს ადამიანის არსებობისთვის საჭირო რაოდენობის პროდუქტები შეადგენს, ხოლო დანარჩენს აუცილებელი სერვისები. ამ პროდუქტების ფასების შეჯამებით განისაზღვრება საარსებო მინიმუმის მოცულობა.

ეკონომიკის ექსპერტთა ნაწილი ხელისუფლებას ურჩევს საპენსიო პოლიტიკის განსაზღვრისას არ დაეყრდნოს საარსებო მინიმუმს.

„ახალი ეკონომიკური სკოლა — საქართველოს“ ვიცე-პრეზიდენტის გია ჯანდიერის აზრით, საჭიროა ხელისუფლებამ საპენსიო სისტემის რეფორმა დროულად განახორციელოს, რათა არ დაგროვდეს ისეთი საპენსიო ვალდებულებები, რომელთა გასტუმრება მომავალში ნებისმიერ მთავრობას გაუჭირდება.

ამჟამად საქართველოში, ევროპასთან შედარებით, თითქმის ორჯერ მეტია საპენსიო ხარჯების შეფარდება მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელთან და ასევე მზარდია საპენსიო ასაკის მოსახლეობის რიცხვიც.

კახა მჭედლიძე,
რადიო „თავისუფლება“

ალიან-ჩალიანი

შიდა ქართლში პირობით მსჯავრდებულები დასაქმდნენ

შიდა ქართლის პრობაციის ბიუროს შუამდგომლობით, პირობითი მსჯავრდებულები დასაქმდნენ. პრობაციის ბიუროს ინფორმაციით, რაიონულმა სასამართლომ ზურაბ მ-ს, სამწლიან პირობით მსჯავრთან ერთად, დამატებით სასჯელად, 180 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულებაც განუსაზღვრა და მის აღსრულებაზე კონტროლი შიდა ქართლის პრობაციის ბიუროს დაავალა.

როგორც პრობაციის ბიუროში აცხადებენ, გორის სანერგე მეურნეობაში განაჩენით განსაზღვრულ პერიოდში პრობაციონერმა პირნათლად იმუშავა. პრობაციის ბიუროს შუამდგომლობისა და პირობით მსჯავრდებულის დახასიათების გათვალისწინებით, მეურნეობის დირექციამ ზურაბ მ. მუდმივ სამუშაოზე აიყვანა და ყოველდღიურ ანაზღაურებად 10 ლარი დაუნიშნა.

პრობაციის ბიურო სამუშაოს შოვნაში დაეხმარა ქარელში მცხოვრებ, სოციალურად დაუცველ, მრავალშვილიან პირობით მსჯავრდებულ ზურაბ ფ-ს. იგი შპს „ქარელის კეთილმოწყობის სამსახურში„ მუშად დასაქმდა და ყოველთვიურად 380 ლარს მიიღებს.

ინტერპრესი

◎ სიტყვა მეგობარზე

წარსულის ღია ფანჯრები...

გატონი ჯიმი მიქელაძე, ჩემი ცოლის ბიძის, აწ განსვენებული ოთარ (წიკე) აბდუშელიშვილის რესტორან „ოდიშში“ გამართულ პურობაზე გავიცანი. მიზეზი იმ პურობისა ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ერთი რამის თქმა უეჭველად შემიძლია – კოლორიტული პიროვნების ოთარ აბდუშელიშვილის მასპინძლობის მთავარი მიზეზიცა და საგაზიც, ყოველთვის სამშობლოს, თბილისის, დიდი სამეგობროს სიყვარული იყო. ამ ქეიფების „აქტიორები“ კი ქართველი საზოგადოების იმ რჩეული ნაწილის, მამაჩემის თაობის წარმომადგენლები იყვნენ, რომელთა „ჩარეცხვასაც“ მიზანმიმართულად ესწრაფოდნენ მანქურთი „ნაცები“...

დღეს, აღარც ცხონებული წიკეა და აღარც მისი რესტორანი და ისტორიულ რიყეზე რონალდ რეიგანი წამოპლაკულა, როგორც სიმბოლო „მიშარასტების“ ვოლუნტარიზმისა და ქართველთმოძულეობისა! მაინც „გამექცა კალამი“ პოლიტიკისკენ და ახლა მთავარს დავუბრუნდეთ...

ჰოდა, მე რას შევგედავდი მამის ტოლა კაცს და თავად გამომეცნაურა გატონი ჯიმი. მამაჩემი მოიკითხა, თანაც, „ხომ იცი, ნათესავები ვართ, ბიჭო, გეგიაჩემი მხეიძის ქალი იყოო“...

ჩემის მხრივ, მე და ხათო (ჯიმის ვაჟი) დიდი ხნის მეგობრები ვართ-მეთქი; ორიოდე დღეში საკუთარი წიგნიც (ამაზე ქვემოთ), – „წარსულის ღია ფანჯრები“ მისახსოვრა ჯიგრიანი წარწერით და მას შემდეგ, თუ კადნიერებაში არ ჩამეთვლება, ჩემი და ჯიმი მიქელაძის მამაშვილობით ნაზავი მეგობრობა დაიწყო...

ეს მეგობრობა ძირითადად ისევ პურღვინიანი ოთარ აბდუშელიშვილის საზოგადოებაში ხორციელდებოდა ხოლმე. საზოგადოებაში, სადაც, ყელყელაობაში ნუ ჩამომართმევთ, და ლამის თანასწორ წევრად მიმიღეს, რაც ერთდროულად პატივიც იყო, პასუხისმგებლობაც და დიდი სკოლაც... ერთ რამედ ღირდა და დღესაც მიღირს მამისტოლა ხალხთან, „ბებერ ბიჭებთან“ ნადიმი, სადაც დახვეწილ იუმორთან ნაზავი, ქართველობის, მამულიშვილობის, რაინდობის, ნაღდი ქალაქელობის თვალსაჩინო მაგალითების ნიაღვარი დიოდა და სადაც ჯიმი მიქელაძე სულაც არ გახლდათ ბოლო!..

შიგადაშიგ, ანუ თუკი რაიმე ღირებული გამომივიდა პრესაში, აუცილებლად დამირეკავს ხოლმე გატონი ჯიმი და შემაქებს... მსგავსი გამოხმაურებები ყველაზე მეტად მეძვირფასება და დიდი სტიმულია ჩემთვის...

ზემოთ გატონი ჯიმის წიგნი ვახსენე. დღეს, ვისაც არ ეზარება და ფული აქვს, ყველანი წიგნებს წერენ ან, უფრო უარესი, სხვებს აწერინებენ – რამდენი ასეთი, უკაცრავად პასუხია, და „წიგნი“ მიდევს სახლში, რომლებიც არც კი გადამიშლია. უფრო სწორად, გადამიშლია და უმალ დამიხურავს, რადგანაც პირველი გვერდებიდანვე ეტყობა, თუ რა ფასი აქვს „ავტორის მოგონებებს“... ჯიმი მიქელაძე აქაც ბედნიერი გამონაკლისია, საოცრად ლაღად იკითხება „წარსულის ღია ფანჯრები“ თუ მოგვიანებით გამოცემული „მეგობართა პორტრეტები“. გადაუჭარბებლად შეიძლება თქმა, რომ ეს წიგნები ერთგვარი მატიანეა XX საუკუნის (რაც მამა-პაპისგან სმენია ავტორს) და განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე საბჭოთა კავშირის დაშლამდე, უახლესი ისტორიისა. ისტორიისა, რომლის ერთ-ერთი აქტიორი თავად გახლდათ ჯიმი მიქელაძე!..

მარტო მისი თანამედროვე მაღალჩინოსანი პიროვნებების ჩამოთვლაც კმარა ზემოთ თქმულის დასტურად. პიროვნებების, რომლებსაც ქვეყნის ბედ-იღბალი ებარათ და რომელთაც ავად თუ კარგად თავი გაართვეს ამ ურთულეს მისიას!..

თუმცა, რატომ ავად თუ კარგად? დღევანდელ „თავისუფალ საქართველოსთან“ შედარებით, სადაც ცხვირში გვტენიან პედერასტების აღლუმებს, როგორც დემოკრატიის უმაღლეს ფორმას, იმ „დამონებულ საქართველოში“ უფრო დაცული არ იყო ქართველობა, ზნეობა, გნებავთ ტერიტორიული მთლიანობა?!

გენერალ ჯიმი მიქელაძის მიერ დაკავებული თანამდებობების ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს, ამიტომ მხოლოდ ერთს დავსძენ – კაცობისთვის, ზნეობისთვის, მინისტრის პოსტზედაც არასოდეს უღალატნია, არასოდეს „შემოუღობავს“ საკუთარი კეთილდღეობა ხილული თუ უხილავი მესრით!

ამის გამო გამოუთქვა მისმა მეგობარმა, გატონმა ჯანსუღ ჩარკვიანმა ფუნაგორია – „ბევრი მინისტრი ფულს იღებს, მიქელაძე კი ტელეფონს“!

ეს ისე, დღევანდელი მინისტრ-დეპუტატების საყურადღებოდაც, რომლებიც ტელეფონზე გიპასუხებენ კი არა, რორგორც ჩვენში იტყვიან, ცხვირზე ბუზს არ იჯენენ, დაცვის ესკორტებით დაქრიან და შავი ჯიპების დაბურული მინების იქით, ვერაფერს ხედავენ!

კიდევ ერთი ენაკვიმატი ფუნაგორია უძღვნა მეგობარს გატონმა ჯანსუღმა – „ვინც კი ვინმე ჩაუშვა, ყველა ჯიმიმ გაუშვა“... რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს გატონი ჯიმის ზნეობრიობას!

20 აგვისტოს ჯიმი მიქელაძე 77 წლის გახდება! ერთი შეხედვით რიგითი, ანუ, არასაიუბილეო თარიღია, მაგრამ მე მაინც როგორც იუბილეს, ისე ვულოცავ!

ციფრების მაგიისა მჯერა. რამდენი ასეთი წყვილი ციფრი შეიძლება იზეიმოს კაცმა სიცოცხლის მანძილზე? 11, 22, 33 და ა.შ. 66 გამოვტოვოთ, როგორც ეშმაკეული და გატონ ჯიმის მივულოცოთ ბიბლიური შვიდიანები.

შემდეგი „წყვილების“ დაძლევის სტიმული ყოფილიყოს ისევე, როგორც შენი უფროსი მეგობარი, ჭაბუა ამირეჯიბი „შესჭიდებია“ 99-ს!

მრავალჟამიერ შენს ნაგრამს მიქელაძეთა დიდი გვარის ღირსეულო შვილო, გატონო ჯიმი...

„საქართველოს რესპუბლიკის“ სახელით –

შენი **დათო მხეიძე**

◎ შაგათ-კვირის ჩანაწერები

გიგი უგულავას ბიუჯეტი – მგზავრების მკაცრად გაკონტროლების იმედად...

შაგათს რომ ამაზრზენი ფაქტი მოხდა, ძვირფასო მკითხველო, იმ თემაზეც გარეორჯერ ვწერდით, მოვუწოდებდით ქალაქის მერიას, პირადად გიგი უგულავას, რომ როგორმე, ჩამოეცილებინა ავტობუსებისთვის კონტროლიორები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, შეურაცხყოფას აყენებენ მგზავრებს. ჰოდა, ამგვარად „წესრიგის დამყარებამ“ მიგვიყვანა უბედურებამდე: **კონტროლიორის თავგასულობა რომ ვეღარ აიტანა, მოხუცი მამაკაცი, შაგათს გულის შეტევით გარდაიცვალა ავტობუსში, რამაც ძალზე აღაშფოთა თბილისელები. გამოდიან ისინი ტელევიზიით და უამრავ ფაქტს ყვებიან კონტროლიერების თავგასულობის შესახებ.**

მართლაცდა, რა ხდება, ღრმად პატივცემულო გიგი?! ნუთუ, ასე დაკნინდა, ნუთუ ასეთი უპასუხისმგებლო გახდა ჩვენი საზოგადოება, რომ მასობრივად უფასო მგზავრობა მოუნდათ?!.. რატომ არ ენდობით თქვენ ამ საზოგადოებას?! რატომ გგონიათ, რომ უბილეთო მგზავრებითაა გადატენილი სამოქალაქო ტრანსპორტი და ისინი ჭკუაზე კონტროლიორი გოგო-ბიჭების შეურაცხმყოფელმა სიტყვებმა უნდა მოიყვანონ?!

ჩვენ ვწერდით იმასაც, რომ ტალინში, მაგალითად, საერთოდ უფასო ყოფილა მგზავრობა. უფასო მგზავრობას ვინ ჩივის, თბილისში ზოგ უბილეთო სტუდენტზე და მოხუცზე ერთი განგაშია ხოლმე ატეხილი...

მაგ ხალხით შევსებულ ბიუჯეტს რა ვუთხარი მე!

გაძვირებული წერილი

წავიდა ის დრო, კაპიკებად რომ ვგზავნიდით წერილებს იმერ-ამერში, რუსთაველზე, „დომ სვიაზში“, რიგში კი ვიდექით, მაგრამ კაპიკებად, რომ ვრეკავდით მშობლებთან და ახლობლებთან. ახლა, ჩემო გატონო, მშობლებს და ახლობლებს, თან ელაპარაკები მობილურით, რა წუთშიც გინდა, რამსიშორესაც გინდა, თან ეკრანზე უღიმი და ეალერსები.

სხვათა შორის, თურმე, არ ჯდება დღეს ეგ სიამოვნება ნამეტანი ძვირი, ყოველ შემთხვევაში, უბრალო წერილის გაგზავნაზე ძვირი. ამაში დამარწმუნა ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელიც შემომხედა და ცხვირწინ ქვითარი ამიფრიალა, ნახე ერთი, ჟურნალისტი ხარ, ეს ქვითარი ახლახან გამომიწერეს ფოსტაში, 5 ლარი გადავიხადე ქუთაისში რომ წერილი გამეგზავნა, თანაც კონვერტი ჩემი იყოო...

გამოვართვი ქვითარი. კი გატონო, 5 ლარი წერია წერილის გაგზავნის ფასი.

– კი, მაგრამ, რა წერილი იყო ასეთი?!

– არაფერი, ძმაო, თაბახის ნახევარ გვერდზე იყო ნაწერი, ჩავდე ჩემს კონვერტში, დავაწებე აკურატულად, მივაწოდე თვალებცქრიალა გოგონას და... დანარჩენს, ქე ხედავ აგერ!.. თან, არ დაგავიწყდეს, პირადობის მოწმობაცაა საჭირო!.. აუხსნან ერთი, ხალხს, ეკონომიკის სამინისტროა, თუ ვისაც ეხება ეგ საქმე, იმათ, რატომაა ასე ძვირი უბრალო წერილის გაგზავნა?! ყველაფერი უცნაური ამ ქვეყანაში რატომ უნდა ხდებოდეს?! სხვათა შორის, ამ ფაქტით, ლარსაც ფასი ეკარგება... 5 ლარი – წერილის გაგზავნა ქუთაისში?! მაგარია! ნახე, დაწერე ერთი, ხალხს მასხრად იგდებენ?!

– კაი, დავწერ, დავწერ და, ისე შეფუცხუნდებიან, ერთ კვირაში ლარი ეღირება წერილის გაგზავნა! მეტი რა ვუთხარი მაგათ!..

– შენ, ეცადე!

– კი, გატონო!..

ა, ვეცადე!

„ბომჟების“ კარავი ჯერაც „ამშვენებს“ რუსთაველს

ამ კარვის შესახებ ვწერდით ჩვენ, წერდნენ ჩვენი კოლეგები – ქართული პრესისა და რადიოტელევიზიის წარმომადგენლები. მაშინ, რა თქმა უნდა, სიკეთე ქნა დედაქალაქის მერიამ – თბილისის ბაღებში მიმოფენილ უსახლკაროებს რუსთაველის გამზირის სიახლოვეს, 9 აპრილის ბაღის ტერიტორიაზე, სამადლოდ, კარავი გაუხსნა. ჰოდა, გამოიარეს ამ საცოდავებმა ზამთარი, მიიქციეს მასმედიის ყურადღება, მაგრამ შემდეგ თბილისის მერიის, საკრებულოს, თუ, საერთოდ, ხელისუფლების ყურადღების ღირსნი ვერა და ვერ გახდნენ... იმ ადამიანებში (თუ მათ ადამიანები ჰქვიათ) არიან ბავშვებიც – მოკლებულნი ყოველგვარ ბავშვურ სიხალისეს და უფროსებივით ფიქრობენ იმაზე, როგორ იშოვნონ ლუკმა-პური, რასაც, ხანდახან, ეს „კარვის მცხოვრებნი“, სამადლოდ, ქაშუეთის ეკლესიიდან და ახლომახლო მოსახლე ღვთისნიერი ადამიანებისაგან იღებენ. სანამდე შეიძლება ასე გაგრძელდეს?! რუსთაველის გამზირიდან ათ ნაბიჯზე, 9 აპრილის ბაღში, სადაც უცხოელი ტურისტები მიდიმოდიან, უკვე წელიწადზე მეტია გაშლილია კარავი და შიგ „ბუდობს“ ჩვენი სისხლი და ხორცი, ქართველი ძველგაზრდელები თუ ახალგაზრდები. შენთვის ხომ უცნობი არ არის ეს ფაქტი ქალაქის მერიავ?! პარლამენტო და მთავრობავ?!

ყველამ ყველაფერი იცით, ოღონდ უფრო „მნიშვნელოვანი“ საქმეებით ხართ დაკავებულნი!

ჰოდა, სულ არ გამიკვირდება, რომ ამ უბედურმა ადამიანებმა მომავალი ზამთარიც ამ კარავში გაატარონ.

ძვირფასი საჩუქარი ბავშვებს

ვინც პოეტ **შოთა ხოდაშნელის** შემოქმედებას იცნობს, დამეთანხმება, რა ნაყოფიერად, რა სანაქებოდ იღვწის იგი ჩვენი პატარებისთვისაც. აბა, ნაირ-ნაირი, ერთმანეთზე უკეთესი ლექსებიო, აბა, შარადებიო, აბა, გამოცანებიო, აბა, ენის გასატეხებიო, აბა, მოთხრობები „ვეფხისტყაოსანზეო“... (ჩვენი შოთა ხომ იმ იშვიათ ქართველთა რიცხვშია, რომლებმაც ზეპირად იციან რუსთაველის გენიალური პოემა).

ამ სიყვარულს სიყვარულითვე პასუხობენ ბავშვები. მე თვითონ ვარ მოწმე, რამდენიმე შეხვედრაზე, სკოლაში, რა გულთბილად ხვდებოდნენ ნორჩები პოეტს, რა სხაპასხუპით ამბობდნენ მის ლექსებს...

ჰოდა, კიდევ ერთი საჩუქარი პატარებს... შოთა ხოდაშნელს სწორედ რომ **„საჩუქარი“** დაურქმევია თავისი ახალი წიგნისთვის, რომელშიც შესულია, ბევრი, ბავშვებისთვის უკვე ნაცნობი თუ სრულიად ახალი ლექსები, გამოცანები, ენის გასატეხები... წიგნი უზადოდ არის გამოცემული და, პირდაპირ მიქარგულ-მოქარგულია ჩვენი შესანიშნავი ფერმწერის **ალექსანდრე ციხელაშვილის** მიერ. წიგნის შესავალში პოეტს კალამს უქებენ ასევე შესანიშნავი საბავშვო პოეტები **ელგუჯა ლეგბანიძე** და აწგარდაცვლილი **გივი ჭიჭინაძე.** დარწმუნებული ვარ, ამ „საჩუქრისთვის“ ბევრი ეტყვის მადლობას შოთა ხოდაშნელს.

ჰოდა, პოეტს მეტი რაღა უნდა?!.

ვილენ მარდალეიშვილი

გულმა გული როცა იცნო...

ოჯახის შექმნის სამართლებრივი პირობები

რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“
იურიდიული კონსულტანტი
ირინე ღლონტი
ტელეფონი: 593359909

საოჯახო ურთიერთობა ძალიან რთულია; იგი დაკავშირებულია ადამიანის შინაგან სამყაროსთან, პირად განცდებთან, ინტიმურ ცხოვრებასთან და ა.შ. ოჯახის წევრთა შორის არსებული ურთიერთობები არ არის უბრალოდ ერთად მცხოვრებ ადამიანთა დამოკიდებულება, მისი წევრები არა მხოლოდ ყოფითი პრობლემებითა და საკითხებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, არამედ ეს ურთიერთობები თითოეული მათგანისთვის წარმოშობს გარკვეულ იურიდიულ შედეგებს, რაც თავისთავად მოითხოვს სამართლებრივ მოწესრიგებას.

რა არის ოჯახის შექმნის საფუძველი? არის თუ არა აუცილებელი ქორწინების სახელმწიფო ორგანოში რეგისტრაცია და თუ აუცილებელია, რამდენი წლის ასაკიდან ეძლევათ ახალგაზრდებს დაქორწინების უფლება? არსებობს თუ არა კანონიერი საფუძველი საქორწინო ასაკის შემცირებისათვის? წარმოშობს თუ არა მეუღლეთა შორის კანონიერ უფლება-მოვალეობას ჯვრისწერა? რა შეიძლება ჩაითვალოს ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად? ასეთია ის ძირითადი კითხვები ოჯახის შექმნის შესახებ, რაც ჩვენი გაზეთის მკითხველებს აინტერესებთ.

ქორწინება — ეს არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც მიზნად ისახავს ოჯახის შექმნას. ქორწინება ოჯახის შექმნის ძირითადი საფუძველია, თუმცა, არა ერთადერთი. ოჯახი შეიძლება წარმოიშვას დაუქორწინებელი ქალის მიერ ბავშვის დაბადების, შვილად აყვანისა და კანონით გათვალისწინებულ სხვა იურიდიული ფაქტების არსებობის შემთხვევაშიც.

ჯერ კიდევ 1944 წლის 8 ივლისიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეთა კანონიერ უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ შესაბამის სახელმწიფო ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება. ასეთი ორგანო დღეისათვის გახლავთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის — სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები. ცხადია, ქორწინება უნდა ემყარებოდეს ურთიერთსიყვარულს, პატივისცემას და იმ დიდი პასუხისმგებლობის გააზრებას, რომელსაც ოჯახის შექმნა გულისხმობს.

ქორწინების რეგისტრაციის გარეშე წლების განმავლობაში თუნდაც ერთ ოჯახად ცხოვრების ფაქტი მეუღლეთა შორის კანონიერ უფლება-მოვალეობას არ წამოშობს. ამის ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია. მართალია, ძალზე სასიამოვნო ფაქტია უკანასკნელ წლებში ჩვენი ახალგაზრდების უდიდესი ნაწილის შემობრუნება ეკლესიისკენ და მათი მისწრაფება, ჯვარი დაიწერონ შეუღლების დროს (ჩემი აზრით, ეს მეტად საჭირო და ამაღლებული რიტუალია და ყველა მართლმადიდებელი, რომელიც ქორწინდება, ამ დიდ მადლს აუცილებლად უნდა ეზიაროს), **მაგრამ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ჯვრისწერას, ანუ მხოლოდ რელიგიური წესით გაფორმებულ ქორწინებას სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს და შესაბამის იურიდიულ უფლება-მოვალეობებს არ წარმოშობს.**

დაქორწინებისათვის აუცილებელია: საქორწინო ასაკი და დასაქორწინებელ პირთა თანხმობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის შესაბამისად, 1997 წლის 25 ნოემბრიდან საქორწინო ასაკად (როგორც გოგონების, ისე ვაჟებისათვის) დაწესებულია თვრამეტი წელი. გამონაკლის შემთხვევებში თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორწინება დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

თანხმობაზე მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის უარის შემთხვევაში — საპატიო მიზეზების არსებობისას, დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე, დაქორწინების ნებართვა შეუძლია გასცეს სასამართლომ. მაგალითად, სასამართლოს მიერ ერთ-ერთ ასეთ საპატიო მიზეზად ჩაითვლება ქალის ორსულობა ან ბავშვის დაბადება. ასეთ შემთხვევაში არსებული საოჯახო ურთიერთობის უსწრაფესად მოგვარება შეესაბამება როგორც სახელმწიფოს, ისე ამ ახალგაზრდა ოჯახის ინტერესებს.

ნიშნობა არის დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა ქორწინებაზე. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ნიშნობა არ წარმოშობს შემდგომი დაქორწინების ვალდებულებას. ამიტომ იგი არ შეიძლება იყოს სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი. დაუქორწინებლობის შემთხვევაში ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები მხარეებს უკან უბრუნდებათ. ამას მოითხოვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

ქორწინების რეგისტრაცია ხდება შემდეგნაირად: დაქორწინების მსურველნი განცხადებით მიმართავენ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, სადაც მიუთითებენ დაქორწინების თარიღს. **მოქმედი კანონის თანახმად, დაქორწინება შეიძლება მოხდეს განცხადებით მიმართვის დღესვე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აღნიშნული შეუძლებელია განცხადებათა სიმრავლის გამო. დაქორწინების მსურველი პირების განცხადება ძალაშია მისი შეტანიდან 2 თვის განმავლობაში.**

ისეთ განსაკუთრებულ გარემოებათა დროს, როგორიცაა ბავშვის დაბადება, ერთ-ერთი მხარის სიცოცხლისათვის რეალური საფრთხე და სხვა მსგავსი გარემოებები, ქორწინების რეგისტრაცია აუცილებლად უნდა გაფორმდეს განცხადების შეტანის დღესვე.

განცხადებაში ქორწინების რეგისტრაციის შესახებ, მხარეებმა უნდა მიუთითონ იმის თაობაზე, რომ არ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი, რომ იცნობენ ერთმანეთის ოჯახურ მდგომარეობას, მერამდენე ქორწინებაა ეს მათთვის და ჰყავთ თუ არა შვილები. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შესაბამისი სამსახური მოვალეა გააცნოს მხარეებს ქორწინების რეგისტრაციის წესი და პირობები, განუმარტოს მეუღლეთა და მშობელთა უფლება-მოვალეობანი, გააფრთხილოს ისინი, რომ პასუხს აგებენ ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებათა დაფარვისთვის. ეს ორგანოები ვალდებულნი არიან დარწმუნდნენ, რომ არ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი, რომ მხარეებისათვის ცნობილია ერთმანეთის ჯანმრთელობისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ.

ქორწინების რეგისტრაცია ტარდება საზეიმო ვითარებაში ორი (ან მეტი) სრულწლოვანი მოწმის თანდასწრებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1116-ე მუხლის თანახმად, მოითხოვება, რომ დასაქორწინებელმა პირებმა ქორწინების რეგისტრაციისას უნდა განაცხადონ, რომ მათ იციან ერთმანეთის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

საქართველოში უცხოელთა დაქორწინებისათვის აუცილებელია მათი ქვეყნის სათანადო ორგანოს ცნობა, რომ არ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი. ეს წესი არ ვრცელდება მოქალაქეობის არმქონე პირებზე და იმ სახელმწიფოს მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც არ გასცემენ მსგავს ცნობებს.

სახელმწიფო ორგანოების უარი ქორწინების რეგისტრაციაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

ხელმეორედ ქორწინების შემთხვევაში პირი ვალდებულია ქორწინების რეგისტრაციისას წარადგინოს მოწმობა წინა ქორწინების შეწყვეტის შესახებ. თუ ერთ-ერთი მეუღლე გარდაიცვალა, დარჩენილი მეუღლის ახალი ქორწინების რეგისტრაციისთვის აუცილებელია მეუღლის გარდაცვალების მოწმობის წარდგენა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის თანახმად, დაქორწინება არ დაიშვება:

> ***ა. იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან;***
> ***ბ. პირდაპირ აღმავალი ან დამავალი შტოს ნათესავებს შორის;***
> ***გ. ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და-ძმას შორის;***
> ***დ. მშვილებელსა და ნაშვილებს შორის;***
> ***ე. იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ.***

როგორც ვხედავთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ კრძალავს ქორწინებას ახლო ნათესავებს (მაგალითად, ბიძაშვილ-მამიდაშვილებს შორის), თუმცა საბედნიეროდ, ქორწინების ასეთი შემთხვევები ქართველ საზოგადოებაში პრაქტიკულად არ ხდება (განსხვავებით დასავლეთ ევროპისაგან, სადაც მსგავსი ქორწინებები არც თუ იშვიათია). ასევე საბედნიეროდ, ერთი სქესის წარმომადგენლებს შორის ქორწინებას საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა საერთოდ არ ცნობს.

ირინე ღლონტი

◎ უმაღლესი სკოლა

სტუდენტებმა უმაღლესი კატეგორიის გიდის კვალიფიკაცია მიიღეს

თბილისის ტურიზმის აკადემიაში სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ ჩატარდა საატესტაციო გამოცდა. საატესტაციო საგამოცდო კომისიამ, თავმჯდომარე — პროფესორები ამირან მექვაბიშვილი, თბილისის ტურიზმის აკადემიის დირექტორი, წევრები: პროფესორები: რუსუდან მექვაბიშვილი, ნანა კირკიტაძე, ზურაბ სანადირაძე — თბილისის ტურიზმის აკადემიის გიდის საგანმანათლებლო პროგრამის IV საფეხურის სტუდენტები მიიღეს. მათ მთელი სწავლების განმავლობაში მიღებული თეორიული თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, დაგროვილი ცოდნა წარმოაჩინეს საატესტაციო გამოცდაზე, რაც, უდავოდ, მომავალი წარმატებული პროფესიული კარიერის საწინდარია. სტუდენტთა უმრავლესობამ სრულად გამოავლინა მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობების, დანიშნულებისა და გიდის ხელოვნების ცოდნა, თუმცა სამ სტუდენტს არაჯეროვანი პასუხისთვის მოუწევს კვლავ წარსდგეს საატესტაციო-საგამოცდო კომისიის წინაშე.

კურსდამთავრებულებს მიენიჭათ უმაღლესი კატეგორიის გიდის IV საფეხურის კვალიფიკაცია და სულ მოკლე ხანში მიიღებენ კიდეც სახელმწიფოს მიერ აღიარებულ, ავტორიზებულ დიპლომს.

ზურაბ სანადირაძე

◎ სახალხო დღესასწაული

„ჩემი დედოფლისწყარო“

დედოფლისწყაროელებმა არც ამჯერად უღალატეს ჩვეულ ტრადიციას და წლეულსაც ადგილობრივებისა და რაიონის სტუმართათვის შესანიშნავი ღონისძიებით აღნიშნეს დღესასწაული „ჩემი დედოფლისწყარო“.

ღონისძიებას უამრავი ადამიანი სტუმრობდა არამარტო დედაქალაქიდან, არამედ უცხოეთიდანაც, სადაც წარმატებით მოღვაწეობენ დედოფლისწყაროელები. ზეიმის დაწყებამდე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე **შოთა მურღულიასა** და პოლონეთის ჟეშოვის მხარის საგარეო და ტურისტული დეპარტამენტის ხელმძღვანელ **მარია ნუხუნჟენბას,** მოწვეულ სტუმრებთან ერთად მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ირაკლი შიოლაშვილმა** დედოფლისწყაროს ღირსშესანიშნაობები დაათვალიერებინა.

დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეებად აირჩიეს **თემურ წიკლაური, ირმა ინაშვილი, ნინო ჯღარკავა, ნათია მიქიაშვილი, ზურაბ ხოსროშვილი.**

დღესასწაული მშვენიერი კონცერტით დასრულდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თემურ წიკლაურმა, გიორგი შარაბიძემ, ანსამბლმა „გორდელამ“, ადგილობრივმა ხელოვნების მოყვარულებმა. საპატიო მოქალაქეებსა და საპატიო სტუმრებს — გერმანიაში მოღვაწე პოეტ **ირმა შიოლაშვილს** და ოპერის მომღერალ **ლადო ათანელს,** ცნობილ ქორეოგრაფ **ფრიდონ სულაბერიძეს,** მსახიობებს **დავით დვალიშვილს, ტრისტან სარალიძეს,** პოეტ **მაყვალა გონაშვილს** სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

სახალხო დღესასწაული ფეიერვერკით დასრულდა.

ნანა ჭიჭინაძე
დედოფლისწყაროდან

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სააკაშვილს „ტოპონიმიკური ომი“ გამოუცხადეს

აგვისტოს ბოლოს თბილისის პარლამენტი სახელებს გამოუცვლის თბილისის მოედნებსა და ქუჩებს, რომელთა სახელწოდებებიც ასოციირდება ქვეყანაში მიხეილ სააკაშვილის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მმართველობის პერიოდთან — 2004-2012 წლებში. ეს გახდება ივლისში „გადაფორმატირებული“ დედაქალაქის საკანონმდებლო ორგანოს პირველი გადაწყვეტილება. შეგახსენებთ, რომ საკრებულოში სააკაშვილის მოწინააღმდეგეები „ქართული ოცნებიდან“ უმრავლესობას შეადგენენ.

ქალაქის სიმბოლიკასთან დაკავშირებით შექმნილი სპეციალური კომისიის ანგარიში დედაქალაქის პარლამენტს გადაეცემა სხდომაზე განსახილველად. საკრებულოში გამოიტანენ საბოლოო ვერდიქტს აგვისტოს ბოლო დღეებში. პარალელურად დაიწყო ქალაქელთა გამოკითხვა თბილისის პარლამენტის ფურცელზე „ფეისბუკის“ სოციალურ ქსელში. საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი შიხიაშვილმა განაცხადა, რომ მოქალაქეებისგან შემოდის ბევრი განცხადება წინადადებით — გადაერქვას სახელები მოედნებსა და ქუჩებს, ან დაუბრუნდეს მათ წინანდელი სახელწოდებანი.

23 ნოემბერს სრულდება ათი წელი „ვარდების რევოლუციიდან“, რომელმაც პრეზიდენტის პოსტიდან ედუარდ შევარდნაძის ვადამდელი წასვლა და ხელისუფლებაში სააკაშვილის მოსვლა გამოიწვია. ამიტომ პრეზიდენტ სააკაშვილისთვის ყველაზე მტკივნეული იქნება ვარდების რევოლუციის მოედნისთვის მერაბ კოსტავას სახელის მინიჭება, რომელიც საბჭოთა პერიოდის დისიდენტი იყო.

— სააკაშვილს არ უნდა შეეცვალა რესპუბლიკის მოედნის სახელწოდება, რომელიც ქართველი ხალხის თავისუფლებისთვის ბრძოლის აკვანია, ვარდების რევოლუციის მოედნად, — განაცხადა ამასთან დაკავშირებით ირაკლი შიხიაშვილმა.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტს, რომელსაც ამჟამად არავისი სახელი არ აქვს მინიჭებული, დაერქმევა ზვიად გამსახურდიას სახელი, საქართველოს პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველი პრეზიდენტისა. სააკაშვილის სასახლის მახლობლად მდებარე ევროპის მოედანს ეწოდება შუასაუკუნეების ქართველი მოწამეების სახელი. მაშინ ამ ადგილას ქვეყნის დამპყრობლებმა თავები წაჭრეს ათასობით ქართველს უარის გამო — შეეცვალათ ქრისტიანული რწმენა მუსლიმანურზე.

შიხიაშვილმა არ გამორიცხა, რომ სახელს გადაარქმევენ ვარდების რევოლუციის პარკსაც დედაქალაქის გლდანის რაიონში.

სამაგიეროდ არ არის ნავარაუდევი იმ ქუჩების სახელების შეცვლა, რომლებიც, მართალია, გამოჩნდნენ სააკაშვილის დროს, მაგრამ არ გააჩნიათ პირდაპირი დამოკიდებულება „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“. ამიტომ დარჩება ლეხ კაჩინსკის, ალა პოლიტკოვსკაიას ქუჩები და ჰეიდარ ალიევის სანაპირო. შეინარჩუნებენ ჯორჯ ბუში უმცროსის ქუჩასაც, რომელიც თბილისის ცენტრს აეროპორტთან აერთიანებს. მართალია, სააკაშვილის ბევრმა ოპონენტმა დღემდე ვერ აპატია ყოფილ ამერიკის პრეზიდენტს სიტყვები ქართველ ლიდერზე, როგორც „დემოკრატიის შუქურაზე“, რომელიც მან წარმოთქვა 2005 წლის მაისში თბილისში მიტინგის დროს. ამას გარდა, მაშინაც ბევრ ქალაქელს არაკორექტულად და არაეთიკურად მიაჩნდათ ქუჩისთვის ცოცხალი ადამიანის სახელის მინიჭება, თუნდაც მის მიმართ საქართველოს დედაქალაქში განხორციელებულიყო, დაე, თუნდაც წარუმატებელი, თავდასხმა (ბუშის მისამართით ნასროლი საბრძოლო ყუმბარა ბედნიერი შემთხვევით არ აფეთქებულა, დაკავებული ტერორისტი სასჯელს იხდის პატიმრობაში).

თბილისის პარლამენტის ახალი უმრავლესობის პირველი ინიციატივა ყველას როდი მოსწონს.

— ეს არ არის პირველი რიგის პრობლემა თბილისელებისთვის, — მიაჩნია საკრებულოს დეპუტატს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ თამაზ შოშიაშვილს. — უმჯობესია „ქართულმა ოცნებამ“ იზრუნოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის დედაქალაქში და ეკონომიკური პროექტებისთვის და არ ეწეოდეს ასეთ წვრილმან შურისძიებას. „ვარდების რევოლუციის“ სახელწოდების გაუქმება — პოლიტიკურად ანგარიჟებული აქტია.

— ხელისუფლების ცვლამ არ უნდა მიგვიყვანოს ტოპონიმიკის ცვლასთან, მიაჩნია არასამთავრობო ორგანიზაცია „თბილისისთვის მზრუნველთა საზოგადოების“ ხელმძღვანელს, ცნობილ ჟურნალისტს ალექსანდრე ელისაშვილს. — უმჯობესია საკრებულომ იზრუნოს უფრო არსებითი პრობლემებისთვის ქალაქში, ხოლო ის, თუ რა ერქმევა ქალაქის მოედნებსა და ქუჩებს, გადაწყვიტონ პროფესიონალებმა.

მისი სიტყვებით, „ნაციონალების“ დროს სახელების შეცვლა თბილისელებმა უკვე გაიარეს, და ასეთი ინიციატივა ამჟამად მწუხარებას იმსახურებს.

ИЗВЕСТИЯ

თბილისის აეროპორტს ზვიად გამსახურდიას სახელს დაარქმევენ?

თბილისის საქალაქო საბჭომ დააყენა წინადადება საქართველოს დედაქალაქში ზოგიერთი ადგილისთვის სახელის შეცვლის შესახებ. კერძოდ, თბილისის საერთაშორისო აეროპორტს სავარაუდოდ ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ხსოვნის აღსანიშნავად ზვიად გამსახურდიას სახელს უწოდებენ.

გამსახურდია, რომელიც 1993 წელს ბოლომდე ამოუხსნელ ვითარებაში დაიღუპა, საქართველოში არაერთფეროვანი ფიგურაა. ბევრი მას უკიდურეს ნაციონალისტად მიიჩნევს, აღნიშნავს, რომ მისი მმართველობა სამოქალაქო ომით დამთავრდა, და მის დროს მოხდა კონფლიქტი სამხრეთ ოსეთში, მნიშვნელოვნად გამწვავდა სიტუაცია აფხაზეთში.

თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი შიხიაშვილმა სპეციალურ ბრიფინგზე აღნიშნა, რომ, როდესაც სთავაზობს აეროპორტისთვის სახელის გადარქმევას, ხელმძღვანელობს საერთაშორისო პრაქტიკით. „მსოფლიოს სულ სხვადასხვა ქვეყნებში არსებობს იმის უამრავი პრეცედენტი, რომ აეროპორტებს უწოდებენ პრეზიდენტების სახელს. ასეთი მაგალითები იმდენად ბევრია, რომ არ დავიწყებ მათ ჩამოთვლას“, — განაცხადა მან.

შიხიაშვილის იდეას საქალაქო საბჭოს ბევრმა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. ერთთმა მათგანმა კოკი იონათამიშვილმა აღნიშნა, რომ აეროპორტის ამჟამინდელი სახელწოდება — ნოვოალექსეევკა — „საბჭოთა ოკუპაციის ნაშთია“. დეპუტატმა განაცხადა, რომ ზვიად გამსახურდია იყო ლიდერი, რომლის დროსაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და აუცილებელია აღინიშნოს მისი დამსახურებანი.

სახელს უცვლიან ვარდების მოედანსაც?

იდეა არ არის შეზღუდული აეროპორტის ახალი სახელწოდებით. საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელის წინადადების თანახმად, ქალაქის ერთ-ერთი მოედანი, რომელსაც ვარდების მოედანს უწოდებენ 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ აღსანიშნავად, იქნება მერაბ კოსტავას მოედანი — იგი არის ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, დისიდენტი და იმავე ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი.

ინიციატივას, სხვათა შორის, ჰყავს მოწინააღმდეგეები. თბილისის საბჭოს დეპუტატმა გულიკო ზუმბაძემ ბი-ბი-სთან საუბარში განაცხადა, რომ საკრებულოს თავმჯდომარე „პოპულიზმს ეწევა“.

ზუმბაძეს მიაჩნია, რომ წინადადება — ეწოდოს აეროპორტს ქვეყნის პირველი პრეზიდენტის სახელი — საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის თვითრეკლამაა, მას სურს, მოიპოვოს იმ ხალხის სიმპათია, ვინც კარგად იხსენებს ზვიად გამსახურდიას.

„ქუჩები უსახელწოდებოდ“

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ხსოვნა თბილისში უკვე უკვდავყოფილია. საქართველოს პრეზიდენტის სააკაშვილის გადაწყვეტილებით 2007 წელს თბილისში გაჩნდა ზვიად გამსახურდიას სახელობის სანაპირო, მისი ნეშტი კი განისვენებს თბილისის გამოჩენილ მოღვაწეთა პანთეონში.

ქართველმა პოლიტიკურმა ანალიტიკოსმა რამაზ საყვაელიძემ ბი-ბი-სისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ თბილისის აეროპორტისთვის სახელწოდების შეცვლამ სვსებით შესაძლებელია გამოიწვიოს უსიამოვნება საქართველოსთან გამოყოფილ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, სადაც გამსახურდიას ფიგურა უკიდურესად არაპოპულარულია.

„ვფიქრობ, თბილისის საკრებულოს ამჟამად აქვს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საქმეები, ვიდრე აეროპორტისა და ქუჩებისთვის სახელების შეცვლა, — ამბობს რამაზ საყვარელიძე. — და რახან ასე უნდათ ამის გაკეთება, თბილისში დღემდე არის რამდენიმე ქუჩა, რომლებსაც საერთოდ სახელები არ გააჩნიათ, რაც ადგილობრივ მოსახლეობას პრობლემებს უქმნის. ერჩიათ ამისთვის მიეხედათ“.

მიუხედავად ამისა, თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე სერიოზულადაა განწყობილი. მისი სიტყვებით, საკითხი ახალ სახელწოდებათა შესახებ შეიძლება დაისვას უკვე უახლოეს სხდომაზე, 19 აგვისტოს.

BBC RUSSIAN.com

დედამიწის ზურგზე

ისლამისტმა ბოევიკებმა სინაიზე ჩასაფრება მოაწყვეს: მოკლულია 20-ზე მეტი პოლიციელი

ტერორისტებმა ყუმბარსატყორცნებიდან ცეცხლი გაუხსნეს ორ ავტობუსს, რომლებსაც ეგვიპტელი ჯარისკაცები გადაჰყავდათ ქალაქ რაფახას რაიონში. ალყაში მოექცა არმიის ქვედანაყოფი ანტიტერორისტული ოპერაციის „ქარიშხალი უდაბნოში“ დროს, რომლის შემადგენლობაშიც დაახლოებით ნ ათასი სამხედრო შედის, მათგან თითქმის ნახევარი სპეცნაზების მებრძოლები და მედესანტეები არიან.

* * *

ურთიერთსროლები და დანის ჩხუბი არჩევნებზე ყირგიზეთში: სამი დაიჭრა, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე

კარა-სუუში საქალაქო საბჭოს არჩევნების შედეგების შეჯამების დროს ერთმანეთს წაეკიდნენ ორი პოლიტიკური პარტიის მეთვალყურეები. შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ერთი კაცი დაიჭრა დანით, კიდევ ორი — ცეცხლსასროლი იარაღით. მედიკოსები სამდაზარალებულზე საუბრობენ. კონფლიქტი არჩევნების შედეგებზე გავლენას არ მოახდენს.

* * *

ეგვიპტეში სისხლიანი დასვენების დღეების შემდეგ თითქმის ათასი კაცია მოკლული

შაბათს ისლამისტების მიერ პროვოცირებული უწესრიგობის შედეგად დაიღუპა 79 კაცი, კვირას კიდევ სულ ცოტა 36 კაცი დაიღუპა ისლამისტების მიერ ბადრაგზე თავდასხმის დროს. თავდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ არმია აღარ მოითმენს შემდგომ ძალადობას. პრესა აღნიშნავს, რომ ვითარება ქვეყანაში ნორმალურ კალაპოტში დგება.

* * *

ფილიპინებზე ბორნის ავარიის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 51 კაცამდე გაიზარდა

სამგზავრო ბორანმა პარასკევს, 16 აგვისტოს, როდესაც ქალაქ სებუს ნავსადგურიდან ქვეყნის დედაქალაქ მალინაში მიდიოდა, მიიღო ორი ნახვრეტი სატვირთო ხომალდთან შეტაკების დროს, ბორანი ჩაიძირა დარტყმიდან რამდენიმე წუთის შემდეგ. მთლიანად 750 კაცი გადაარჩინეს.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი

კრედიტის/სესხის № IDA5245-GE; IBRD 8263-GE
პროექტის № P130413

დავალების სახელწოდება: E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის ზემო ოსიაური-არგვეთას მონაკვეთის (75 კმ) წინასაპროექტო კვლევების განახლება და E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის ჩუმათელეთი-არგვეთას მონაკვეთის (60 კმ, 20 გვირაბისა (9500 მ.) და 43 ხიდის (4460 მ.) ჩათვლით) წინასწარი საინჟინრო პროექტის მომზადება

კონტრაქტი/RFP № EWHIP–4/CS/FBS-01
საიდენტიფიკაციო № EWHIP-4/CS/FBS-01

საქართველომ მსოფლიო ბანკს მიმართა აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის დასაფინანსებლად. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად.

საკონსულტაციო მომსახურება („მომსახურება“) მოიცავს ***E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის ზემო ოსიაური-არგვეთას მონაკვეთის (75კმ) წინასაპროექტო კვლევების განახლებას და E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის ჩუმათელეთი-არგვეთას მონაკვეთის (60კმ, 20 გვირაბისა (9500 მ.) და 43 ხიდის (4460 მ.) ჩათვლით) წინასწარი საინჟინრო პროექტის მომზადებას.*** ეს საკმაოდ რთული დავალებაა გეოლოგიური და გეოტექნიკური თვალსაზრისით, რადგან აღნიშნული მონაკვეთი ძალზე რთული რელიეფით ხასიათდება და საჭიროებს მაღალი დონის პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას ანალოგიურ პირობებში მუშაობისა და ინოვაციების კუთხით.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აღნიშნული მომსახურების გასაწევად ინტერესის გამოხატვისთვის იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს). დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ ზემოაღნიშნული მომსახურებების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (თუმცა არ არის შეზღუდული), შემდეგს: შესაბამისი გამოცდილება პროექტის მოთხოვნებთან მიმართებაში, ძირითადი პერსონალის რესურსები და კვალიფიკაცია, ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ. ასევე, წარმოდგენილ უნდა იქნას იმ თანამშრომელთა მოკლე შრომითი ბიოგრაფიები (CV), რომლებიც შემოთავაზებულია დავალების შესასრულებლად და გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება. ინტერესის გამოხატვა ასევე შესაძლოა მოიცავდეს იმ საერთაშორისო ექსპერტების შრომით ბიოგრაფიებს (CV), რომლებიც აღნიშნული დავალების მოთხოვნებიდან გამომდინარე ითანამშრომლებენ კონსულტანტებთან.

მოკლე სიის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია: (ა) ზოგადი გამოცდილება, (ბ) ანალოგიური გამოცდილება.

კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ დეტალური ინფორმაცია ანალოგიური დავალებების შესახებ, რომლებიც განხორციელდა შემდეგი მიმართულებით: (1) მაღალმთიან რეგიონებში ავტომაგისტრალის მშენებლობის ფარგლებში გვირაბებისა და გვირაბის პორტალების პროექტირება რთული გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, სხვადასხვა გეოლოგია და წყლის რეჟიმი, სხვადასხვა სამშენებლო ტექნოლოგია, სხვადასხვა ტიპის ფუნდამენტის მქონე ხიდების, მათ შორის ბრტყელი, ხიმინჯოვანი და ჩასაშვები ჭების საშუალებით მოწყობილი ფუნდამენტის, ასევე მეწყერსაშიშ ზონაში საფუძვლების პროექტირება; 2) ცვალებადი გეოლოგიის მქონე ადგილებში მაღალი ჭრილების პროექტირება სხვადასხვა შემაკავებელი და დამცავი ღონისძიებების ჩათვლით; 3) მაღალი ყრილების პროექტირება ალტერნატიული მეთოდების გამოყენებით, მათ შორის არმირებული ყრილები დახრილი და ვერტიკალური გვერდითა ქანობებით. კონსულტანტებმა კონკრეტულად უნდა წარმოადგინონ მეწყერსაშიშ ადგილებში ავტომაგისტრალების პროექტირების, მათ შორის გეოტექნიკური კვლევების და საკონტროლო მოწყობილობების (პიეზომეტრი, კრენომეტრი (გადახრის კუთხის საზომი) ზედამხედველობის და ანალიზის, ისევე როგორც სხვადასხვა ტექნოლოგის გამოყენებით (შემაკავებელი, დრენაჟირების და არმირების მეთოდები) მეწყერის სტაბილიზაციის პროექტირების გამოცდილება. სეისმურად აქტიურ ზონაში ზემოაღნიშნულ საპროექტო ელემენტებთან დაკავშირებული კონსულტანტების გამოცდილება წარმოადგენს პროექტის მოთხოვნების მნიშვნელოვან ასპექტს და მკაფიოდ უნდა იქნას ასახული მათ წინადადებაში.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება (რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (*IBRD*) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (*IDA*) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში)“ (2011 წლის იანვრის გამოცემა, „კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები“) – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვეკონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას № 1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:

http://www.georoad.ge/?que=eng/tenders/international&info=1288.

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპების - *სახელმძღვანელო პრინციპები: „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში“* – თანახმად.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 09:00-დან 17:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არა უგვიანეს **2013 წლის 09 სექტემბრის 17:00 საათისა**.

სახელი: ილია მესხიშვილი
პოზიცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების ორგანიზების განყოფილების უფროსი
მისამართი: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12
ტელ: +995 322 37-05-08, დამ.305
ფაქსი: +995 322 31-30-34
ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia
Forth East-West Highway Improvement Project
Credit/Loan No. IDA5245-GE; IBRD 8263-GE
Project No. P130413

Assignment Title: Update of Feasibility Studies for E-60 Highway Section from Zemo Osiauri to Argveta (75km) and Undertaking Preliminary Engineering Design for E-60 Highway Section from Chumateleti to Argveta (60 km, including 20 tunnels (9500 m) and 43 bridges (4460 m).
Contract/RFP No: EWHIP-4/CS/FBS-01
Reference No. EWHIP-4/CS/FBS-01

Georgia has received a financing from the World Bank toward the costs of the Forth East-West Highway Improvement Project and intends to apply part of the proceeds for consulting services. The consulting services ("the Services") include ***Update of Feasibility Studies for E-60 Highway Section from Zemo Osiauri to Argveta and Undertaking Preliminary Engineering Design for E-60 Highway Section from Chumateleti to Argveta***. This is a very complex assignment along a very difficult terrain from a geological and geotechnical point of view which will require high level of expertise in similar conditions and innovation.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consulting firms ("Consultants") to indicate their interest in providing the Services. Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expression of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project requirements, key staff resources and qualification, corporate profile. They shall include brief CVs of the personnel, who are proposed for the assignment to confirm they have relevant qualification and experience. CV's of international experts committing to cooperate with the Consultants for the requirements of this assignment may also be included in the expression of interest.

Shortlisting criteria are: (a) General experience, (b) Similar Experience.
The Consultants shall provide in particular detailed information on similar assignments carried out on: i) mountainous highway engineering as related to the design of tunnels and tunnel portals in difficult geological conditions with varying geology and water regimes, with various construction techniques, bridges of various types with varying conditions of foundations including spread foundations, piles, and socket foundations and foundations in landslide areas; ii) design of high cut slopes in varying geology and with various retaining and protection measures; iii) design of high embankments with alternative methods including reinforced embankments with inclined and vertical side slopes. Consultants should clearly present their experience in highway design in landslide areas, including supervision and interpretation of geotechnical investigations and monitoring instruments (piezometers, inclinometers) as well as design for landslide stabilisation with various techniques (retaining, drainage and reinforcement methods). The experience of the Consultants related to the various design aspects described above in high seismicity areas is an important aspect of the project requirements and should be clearly demonstrated in their proposals.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers* , January 2011 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may associate with other firms in the form of a joint venture or a sub-consultancy to enhance their qualifications. Please note that a form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on w on the following link:

http://www.georoad.ge/?que=eng/tenders/international&info=1288

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A Consultant will be selected in accordance with "Consultant Guidelines" - *Guidelines: Selection and Employment of Consultants under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers* , January 2011 .

Further information can be obtained at the address below during office hours from 09:00 a.m. to 17:00 p.m.

Expressions of Interest must be delivered in a written form to the address below (in person, or by mail, or by fax, or by e-mail) by **September 09, 2013, 17:00 hours.**

Name: Ilia Meskhishvili
Position: Head of Procurement Organization Unit of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08 ext. 305
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

◎ წინ, საქართველო!

გენო პეტრიაშვილი ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონია

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრების წევრმა გენო პეტრიაშვილმა (120 კგ.) მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში დასრულებულ მსოფლიო პირველობაზე ახალგაზრდებს შორის ფავორიტად შერაცხულმა ქართველმა მძიმეწონოსანმა ოქროს მედლისთვის ბრძოლაში ყველა მეტოქე დაამარცხა.

პეტრიაშვილმა ფინალურ შეხვედრამდე გერმანელ ლიტვინოვს 11:2 სძლია, ტუნისელი ტრაბელსი 7:0 დაამარცხა, კანადელი დჰინსა – 8:0, ხოლო რუსი გოგაევი – 11:4, გადამწყვეტ დაპირისპირებაში კი საქართველოს ნაკრების ლიდერმა ირანელი აბდულა გომი ავილის 7:0 აჯობა. ქართველი ფალავნის დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა და 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანმა გურამ საღარაძემაც მიიღო.

აღსანიშნავია, რომ პეტრიაშვილმა ევროპის პირველობის მოგების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზეც იმარჯვა და დუბლი შეასრულა.

გიორგი გოგშელიძის ხელმძღვანელობით მოჭიდავე საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრებიდან ვერცხლის მედლის მოპოვება 66 კგ. წონით კატეგორიაში დავით ბუზიაშვილმა შეძლო, რომელიც ფინალში თურქ კილიჩსალაიანთან დამარცხდა, ბექა ბუჯიაშვილმა (55 კგ.) და შოთა ფარტენაძემ (60 კგ.) კი მე-3 საპრიზო ადგილები დაიკავეს და ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ.

ამგვარად, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა მსოფლიო პირველობაზე 4 მედალი მოიპოვა - 1 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

მიდი და ამტკიცე

ზეგ თბილისის „დინამო“ და გორის „დილა“ ევროპის ლიგის პლეიოფის პირველ მატჩებს გამართავენ, ამიტომ საფიქრებელი იყო, რომ ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურში ერთმანეთთან ნახევარი ძალით იბრძოლებდნენ და მეგობრულ ზავს გააფორმებდნენ.

ძნელია ამტკიცო, რომ ასე არ მოხდა, მაგრამ ფაქტია, რომ თამაში ფრედ – 1:1 დასრულდა (დოლიძე; დვალი).

მაშინ, როცა ენას ძვალი არა აქვს, ალბათ, კარგი იქნებოდა ავი ენებისთვის სათქმელის მიუცემლობის მიზნით გუნდებს გათამაშების ცენტრალური დუელი საომომავლოდ გადაედოთ, მაგრამ...

დანარჩენი შედეგები: „ცხინვალი“ – „სიონი“ 0:2, „გურია“ – „მერანი“ 1:0, „ბაია“ – „ვიტ ჯორჯია“ 0:0, „ჩიხურა“ – „მეტალურგი“ 2:3, „ზესტაფონი“ – „ტორპედო“ 2:3.

სატურნირო მდგომარეობა: „ვიტ ჯორჯია“, „მეტალურგი“, „ტორპედო“, „დინამო“, „დილა“ – 4-4, „ჩიხურა“, „სიონი“, „მერანი“, „გურია“ – 3-3, „ბაია“ – 1, „ზესტაფონი“, „ცხინვალი“ – 0 ქულა.

ბომბარდირი: დოლიძე („დილა“) – 3 გოლი.

* * *

იტალიის სუპერთასი. „იუვენტუსი“ – „ლაციო“ 4:0.

ესპანეთი. „ბარსელონა“ – „ლევანტე“ 7:0, „რეალი“ – „ბეტისი“ 2:1, „ვალენსია“ – „მალაგა“ 1:0, „სევილია“ – „ატლეტიკო“ 1:3, „ვალადოლიდი“ – „ბილბაო“ 0:1.

ინგლისი. „სუონსი“ – „მანჩესტერი“ 1:4, „ლივერპული“ – „სტოკი“ 1:0, „არსენალი“ – „ასტონ ვილა“ 1:3, „ჩელსი“ – „ჰალი“ 2:0, „კრისტალ პალასი“ – „ტოტენჰემი“ 0:1.

გერმანია. „აინტრახტი“ – „ბაიერნი“ 0:1, „ბორუსია“ – „ბრაუნშვაიგი“ 2:1, „ვერდერი“ – „აუგსბურგი“ 1:0, „ვოლფსბურგი“ – „შალკე“ 4:0, „შტუტგარტი“ – „ლევერკუზენი“ 0:1.

საფრანგეთი. „მონაკო“ – „მონპელიე“ 4:1, „პარი სენ-ჟერმენი“ – „აიაჩო“ 1:1, „სოშო“ – „ლიონი“ 1:3.

გია პლატონიშვილი

◎ უკვდავება

მინისტრი მესტიაში „კლდის ვეფხვის“ მემორიალს დაესწრო

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი მოადგილე აკაკი ლოდიასთან, სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გიორგი ასათიანთან და სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად მესტიას ეწვია და სპორტის დამსახურებული ოსტატის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონის ალპინიზმსა და კლდეზე ცოცვაში – მიხეილ ხერგიანის საერთაშორისო მემორიალს დაესწრო.

შეჯიბრებები რთულ და სწრაფ ცოცვაში მესტიის ცენტრში მდებარე სპორტულ დარბაზში, ხოლო ინდივიდუალურ ცოცვაში – ბუნებრივ კლდეზე (მესტიის ცენტრიდან დაახლოებით 5-6 კმ. მანძილზე მდებარე კლდეები. მესტიის აეროპორტთან) გაიმართა.

მემორიალში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ყველა რეგიონის, აზერბაიჯანის, სომხეთის და პოლონეთის გუნდებმა.

ტურნირს ორგანიზება საქართველოს მეკლდეურთა ფედერაციამ და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ გაუწიეს მესტიის ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან ერთად.

რთული ცოცვა, ვაჟები
1. გიორგი გაბულდანი,
2. ალმაცგირ კვიციანი,
3. გიორგი ჯაფარიძე.

რთული ცოცვა, გოგონები
1. თამუნა მელაძე,
2. ფატი იოსელიანი,
3. დარო რატიანი.

სწრაფი ცოცვა, ვაჟები
1. გიგა ჯანხოთელი,
2. გიორგი მუკბანიანი,
3. გიორგი ჯაფარიძე.

სწრაფი ცოცვა, გოგონები
1. დარო რატიანი.
2. მარი ქურდიანი,
3. აგნეშკა შზეპიელაკი.

ინდივიდუალური ცოცვა ბუნებრივ კლდეზე.
ვაჟები – გიორგი გაბულდანი.
გოგონები – ფატი იოსელიანი.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ მძლეოსნობა

იამაიკელი ყველაზე ტიტულოვანია, რუსებმა კი საერთო გუნდური ჩათვლა მოიგეს

უსეინ ბოლტი მსოფლიო ჩემპიონატების 30-წლოვან ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი მძლეოსანია

მძლეოსანთა მსოფლიო პირველობის უკანასკნელი დღე იამაიკელი სპრინტერების ტრიუმფით დასრულდა. ამას წინ უძღოდა ფრანგი სამმხტომელის ტედი ტამგოს ფანტასტიკური ნახტომი, ხოლო მოპყვა ის, რომ რუსებმა უკვე მეორედ ისტორიაში და პირველად 2001 წლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის საერთო გუნდურ ჩათვლაში იმარჯვეს.

იამაიკელმა კაცებმაც და ქალებმაც 4X100 მეტრზე ესტაფეტები დამაჯერებლად მოიგეს – უსეინ ბოლტმა და კომპანიამ სეზონის საუკეთესო შედეგით, ხოლო შელი-ენ ფრეიზერ-პრაისმა და მისმა მეგობრებმა სულაც მსოფლიო პირველობათა რეკორდით. ბოლტის „გუნდისათვის“ ეს ზედიზედ მესამე გამარჯვებაა, მისმა ქალმა თანამემამულეებმა კი 2011 წელს დაკარგული ტიტული დაიბრუნეს.

ამერიკელებს – კაცებსაც და ქალებსაც – ისევ და ისევ ამანათის გადაცემის პრობლემები შეექმნათ, თუმცა ალბათ იმ შემთხვევაშიც კი, სულაც უშეცდომოდ რომ ერბინათ, ბრწყინვალე ფორმაში მყოფი კარიბელების დამარცხება მათ მაინც ძალიან გაუჭირდებოდათ.

უსეინ ბოლტი კი, რომელსაც ხვალ 27 წელი უსრულდება, მსოფლიო ჩემპიონატების 30-წლოვან ისტორიაში უკვე ყველაზე ტიტულოვანი მძლეოსანია. მის ანგარიშზე რვა ოქროს (2009 – 100 მ, 200 მ, 4X100 მ. ესტაფეტა; 2011 – 200 მ, 4X100 მ. ესტაფეტა; 2013 – 100 მ, 200 მ, 4X100 მ. ესტაფეტა) და ორი ვერცხლის (2007 – 200 მ, 4X100 მ. ესტაფეტა) მედალია მაშინ, როცა მსოფლიო პირველობათა ყოფილი ყველაზე წარმატებული მძლეოსნის, ამერიკელი კარლ ლუისის მონაგარი რვა ოქროს, ერთ ვერცხლისა და ერთ ბრინჯაოს მედალს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ ბოლტი ასევე ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი (2008 – 100 მ, 200 მ, 4X100 მ. ესტაფეტა; 2012 – 100 მ, 200 მ, 4X100 მ. ესტაფეტა) და 100 მეტრსა და 200 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენია – 9,58 და 19,19.

26 წლის ფრეიზერ-პრაისი კი პირველი ქალი გახდა, ერთ მსოფლიო ჩემპიონატზე სამივე სპრინტერულ დისციპლინაში ოქროს მოხვეჭა რომ შეძლო.

საერთო გუნდური ჩათვლა: რუსეთი – 17 (4, 6), აშშ – 25 (6, 13, 6), იამაიკა – 9 (6, 2, 1), კენია – 12 (5, 4, 3), გერმანია – 7 (4, 2, 1), ეთიოპია – 10 (3, 3, 4), დიდი ბრიტანეთი – 5 (3, 0, 2), ჩეხეთი – 3 (2, 0, 1), უკრაინა – 3 (2, 0, 1), საფრანგეთი – 5 (1, 3, 1) მედალი.

გეჟან დოლიძე

◎ ვითარება

ზაზა ფაჩულია:

კონფლიქტური საკითხების გარკვევა ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე უნდა გადავდოთ

მოგეხსენებათ, ბოლო პერიოდია, ქართულ კალათბურთში არცთუ მშვიდი ვითარებაა. 10 აგვისტოს გამართული ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა სკანდალური აღმოჩნდა და საბოლოოდ გაურკვეველი ვადით გადაიდო. მოქიშპე მხარეები ერთმანეთს უსამართლო წესებით ქმედებას აბრალებენ და ცხადია, რომ ამ ამბებს გაგრძელება კიდევ მოჰყვება.

„შექმნილ გაუგებრობას ნუ მივცემთ დაპირისპირების და კონფლიქტის სახეს. მით უმეტეს ახლა, როცა წინ გველის უმძიმესი და პასუხისმგებლობით აღსავსე ევროპის ჩემპიონატი. მისი დასრულების შემდეგ გამგეობა გამოაცხადებს საკალათბურთო სამყაროს სხვადასხვა წარმომადგენლებთან და საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან შეხვედრების განრიგს, სადაც მაქ-

სიმალურად შეჯერდება ახალი წესდების რედაქცია. მხოლოდ ამის მერე დაინიშნება ფედერაციის ყრილობა წესდების ახალი რედაქციით მისაღებად“, — ასეთი გახლდათ კალათბურთის ფედერაციის მესვეურთა ბოლო განცხადება.

ახლახან შექმნილ ვითარებას საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი ზაზა ფაჩულია გამოეხმაურა, რომელიც მოახლოებულ ევროპის ჩემპიონატზე ტრავმის გამო ვერ ითამაშებს, თუმცა, შესაძლოა, სლოვენიაში თანაგუნდელების გასამხნევებლად მაინც ჩავიდეს. აი, რა დაწერა ზაზამ საკუთარ „ფეისბუქის“ გვერდზე.

„არ მივესალმები იმ დაპირისპირებებს, რომელიც შეიქმნა საქართველოს საკალათბურთო სამყაროში ევროპის ჩემპიონატის წინ. ჩვენ გველის უმნიშვნელოვანესი ტურნირი, რომელიც წარმოადგენს ეროვნული ინტერესის და ღირსების საკითხს. ამის გამო ყველა კონფლიქტური საკითხის გარკვევა, რომელიც დღეს არსებობს საქართველოს საკალათბურთო სამყაროში, უნდა გადაიდოს სანამ არ დამთავრდება ევროპის ჩემპიონატი. დღეს ჩვენ ბიჭებს გვერდში დგომა და გამხნევება სჭირდებათ“.

რაც შეეხება თვით საქართველოს ნაკრებს, მან ამ დღეებში საფრანგეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე სასწაული მოახდინა მომავალი ფორუმის ერთ-ერთ ფავორიტ სერბებთან, 16-ქულიანი ჩამორჩენა ამოუქაჩა და არსებობის განმავლობაში ყველაზე წონადი გამარჯვება მოიპოვა — 75:71. **ყველაზე შედეგიანები:** სანიკიძე — 19 ქულა, ცინცაძე — 17 ქულა.

დასკვნითი მატჩი „ჯვაროსნებმა“ 71:86 დათმეს მასპინძლებთან და II ადგილი დაიკავეს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

პირლოს მეღვინეობის ფილოსოფია

ცნობილმა იტალიელმა ფეხბურთელმა ანდრეა პირლომ მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ უკვე იმდენი იცის, რომ ბევრ ცნობილსა და გამოცდილ ღვინის ექსპერტს შეშურდება. როგორც იცით, „იუვენტუსის“ გამთამაშებელი მეღვინეობამ ბოლო დროს ძალიან გაიტაცა.

ანდრეა პირლო მეღვინეობის ფილოსოფიის შესახებ საუბრობს და ამბობს, რომ ღვინო ადამიანისთვის მხოლოდ თრობის საშუალება არ არის. ფეხბურთელი იზიარებს იმ აზრს, რომ ღვინო ერთგვარი კოსმიური სითხეა, რომელიც ბუნებასთან ორგანულადაა შერწყმული.



„იუვენტუსის“ ფეხბურთელს საკუთარი ვენახები პიემონტის მხარეში და ქალაქ ბრეშასთან ახლოს აქვს. პირლოს ვენახებში, ძირითადად, კიანტის ჯიშის ვაზია გაშენებული და ამ ვენახებში დაკრეფილი ყურძნისგან დაწურული ღვინო წარმატებით იყიდება მთელს ევროპაში.

გიორგი ზოთაძე

◎ მათი აზრი

„მოხეტიალე ძეგლების“ ისტორია

1995 წელს, როგორც იქნა, ქართველმა საზოგადოებამ პატივი მიაგო ჩვენი ქვეყნის გენიალური მეფისა და ბრწყინვალე მხედართმთავრის დავით მეფის ხსოვნას. მაშინდელი სასტუმრო „ივერიის“ წინ მდებარე პატარა მოედანზე აღიმართა პოპულარული მოქანდაკისა და დიდი პატრიოტის მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი უკვდავი დავით აღმაშენებლის ძეგლი. თავის მეგობარსა და კოლეგას კიდევ ერთი საყვარელი მოქანდაკე და საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული ელგუჯა ამაშუკელი არ ჩამორჩა — აბანოთუბანში, ცხენზე აღმართული ჩვენი ლეგენდარული მეფის ვახტანგ გორგასლის ძეგლის ავტორმა დიდგორის ომში გამარჯვებული მთავარსარდლის დავით მეფის ძეგლით გაახარა ქუთათურები.

სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში დიდი მეფის ძეგლები (მეტად შეუფერებელ) სხვა ადგილზე გადაიტანეს.

სამართლიანობა უნდა აღდგეს, დავითის ძეგლი უნდა დაბრუნდეს იქ, სადაც იგი აკურთხა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. მაშინ ეს ბრძნული გადაწყვეტილება ხალხის სურვილით და ავტორთან შეთანხმებით მოხდა. პირადად მე, რომ მკითხოს კაცმა, დავითის ეს შესანიშნავი ქანდაკება მეტის ღირსია. თბილისის შემოსასვლელში პოლიციის გუშაგივით მოწყენილ ამ ქმნილებას, თავისუფლების მოედნის ცენტრში მივუჩენდი ადგილს და მოედანსაც მის სახელს დავარქმევდი. იმედია, დიდი დავითის ძეგლს პირვანდელ ადგილს ქუთაისშიც მიუჩენენ.

შალვა ძირია,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვეტერანი სპორტული ჟურნალისტი

დიდი მთავარსარდლები

1121 წლის 12 აგვისტო ის თარიღია, როცა დიდმა დავით აღმაშენებელმა თავის მეორმრეობით ათჯერ მეტი მომხდური მოწინააღმდეგე დაამარცხა და დიდგორის ველზე საქვეყნოდ დაიმკვიდრა დიდი მთავარსარდლის სახელი.

ამიტომ ქართველმა ხალხმა მას საქართველოში დედაქალაქ თბილისში სასტუმრო „ივერიის“ წინ არაჩვეულებრივი ძეგლი აღუმართა, — თუმც მავანთა უვიცობამ იგი ქალაქის ცენტრიდან „გააძევა“ და ადგილი თბილისის შემოსასვლელში, დიღომში გზაგასაყართა ცენტრში მიუჩინა.

ხალხის მოთხოვნაა, რომ დავით მეფის ძეგლს „დევნილის სტატუსი“ მოეხსნას და დაბრუნებულ იქნას პირვანდელ ადგილზე, ასევე ქალაქ ქუთაისშიც პირვანდელ ადგილს დაუბრუნონ „აღმაშენებლის ძეგლი“.

ან ამდენ ნგრევა-დემონტაჟსა და ხელახლა დადგმას — ხომ არ აჯობებდა ძველ ადგილზე კიდევ ერთი ახალი ძეგლი გაგვეხსნა 8 თებერვალს მის ხსენების დღეს?! მე მგონი უფრო უკეთესი იქნებოდა...

ასევე აღსადგენია დიდი მთავარსარდლისა და გენერალისიმუსის იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი-სტალინის ძეგლი მის მშობლიურ ქალაქ გორში და არამარტო გორში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებშიც.

პატივისცემით
თენგიზ თომაძე,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი

სანთელი

აკაკი გეთიაშვილი

ქართულმა ისტორიულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის მიმართულების პროფესორი **აკაკი გეთიაშვილი**.

აკაკი გეთიაშვილი გურჯაანის რაიონის სოფ კაჭრეთში 1945 წელს დაიბადა. საშუალო სკოლა თბილისში დაამთავრა. 1965 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის საღამოს განყოფილებაზე ჩარიცხვის შემდეგ, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. 1968 წელს გეთიაშვილი კვლავ უნივერსიტეტს დაუბრუნდა. ნიჭიერი ახალგაზრდა შეუმჩნეველი არ დარჩენია შესანიშნავ მეცნიერსა და პიროვნებას, პროფესორ გივი ჟორდანიას. სწორედ მისი ინიციატივით 1974-1976 წლებში აკაკი გეთიაშვილი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში აგრძელებს სწავლას. აქ მოამზადა მან საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც 1989 წელს თბილისში დაიცვა. 1977 წელს გივი ჟორდანიას რეკომენდაციით აკაკი გეთიაშვილი მუშაობას ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მსოფლიო ისტორიის კათედრაზე იწყებს, სადაც მალევე დაიმსახურა უაღრესად ერუდირებული, ფართო დიაპაზონის მქონე მეცნიერის სახელი.

1990 წლიდან აკაკი გეთიაშვილი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პარალელურად მოწვეული სპეციალისტის რანგში ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც კითხულობს, 1994 წელს იგი სამუშაოდ საბოლოოდ გადმოდის თბილისის უნივერსიტეტში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა.

იგი უდიდესი პასუხისმგებლობით უდგებოდა სტუდენტებთან მუშაობას, მასში მომთხოვნელობა და პრინციპულობა ჰარმონიულად იყო შეხამებული ჰუმანიზმსა და საოცარ ადამიანურ სითბოსთან, რის გამოც ის სტუდენტების გამორჩეული სიყვარულით სარგებლობდა.

აკაკი გეთიაშვილი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „ჰუსიტური მოძრაობა და ჰუსიტური ომები“ , „ადრეული რეფორმაციის წარმომადგენლები“, „სოციალური ანაბაპტიზმის სათავეებთან“ და სხვა. მისი ნაშრომები გამოირჩევა საკვლევი თემების მასშტაბური გააზრებით, პრობლემების ღრმა და ამომწურავი ანალიზით.

აკაკი გეთიაშვილს გამოარჩევდა მზრუნველი და უაღრესად თბილი დამოკიდებულება ოჯახის, ნათესავების, ახლობლების, მეგობრების მიმართ. სწორედ ამიტომ დაიმსახურა მან საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა ყველაში, ვინც მას იცნობდა.

სამწუხაროდ, მას კიდევ ბევრი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი. თუმცა, რაც მოასწრო, ისიც საკმარისია იმისთვის, რომ მისი სახელი დიდხანს დარჩეს კეთილმოსაგონრად ოჯახის, ახლობლების, მეგობრების, აღზრდილების ხსოვნაში.

მეგობრები,კოლეგები

მეუღლე გურამ ცაგარეიშვილი, შვილი გია, შვილიშვილები ეთუნა, საბა ცაგარეიშვილები, რძალი ვიკა ბუაძე, ძმა გიორგი სიხარულიძე, რძალი ზაირა ქორჩილავა, ძმისწული ნინო სიხარულიძე, მაია როსებაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იზა სერგოს ასული სიხარულიძე

პანაშვიდი 20, 21 VIII, 17 სთ. მისამართი: ირ. აბაშიძის 68. გამოსვენება 22 VIII, 15 სთ. წმ. ნინოს სახელობის ტაძრიდან (ველოტრეკის უკან, საბურთალოზე).

◎ კრიმინალი

შვილიშვილმა ბებია მოკლა

სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში შვილიშვილმა ბებია, 79 წლის მაისო კუსრაშვილი მოკლა. შსს-ს ინფორმაციით, კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სიღნაღის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1990 წელს დაბადებული გიგა ნ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბებიასთან სტუმრად მყოფმა, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა 18 აგვისტოს, ღამით, მეგობართან ურთიერთშელაპარაკებისას, ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლა, რის შედეგადაც ბრალდებულის ბებიამ, 1934 წელს დაბადებულმა მაისო კუსრაშვილმა სხეულის დაზიანება მიიღო. ქალბატონი საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, გიგა ნ. სიღნაღში დააკავეს. დანაშაულის იარაღი, არარეგისტრირებული გლუვლულიანი სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღეს. შემთხვევის ადგილიდან ასევე ამოიღეს სანადირო თოფის 2 მასრა.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს, რაც 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

შსს-მ ყაჩაღობის 3 ფაქტი გახსნა

შსს-ს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს 1-ლი განყოფილების თანამშრომლებმა, წარსულში ორჯერ ნასამართლევი, 1981 წელს დაბადებული არჩილ შ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული მიმდინარე წლის 18 აგვისტოს გლდანის მე-3 მიკრორაიონში მდებარე მარკეტში შეიჭრა და გამყიდველს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით ფული მოსთხოვა, წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

შსს-ს ცნობით, ბრალდებულმა იმავე დღეს თბილისში, დიმიტრი უზნაძისა და წერეთლის გამზირზე მდებარე მარკეტებიდან ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით ფული გაიტაცა და მიიმალა.

სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ღონისძიებების შედეგად არჩილ შ. თბილისში დააკავეს.

შსს-ს ცნობით, დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება მიმდინარეობს ყაჩაღობის ფაქტზე. ინტერპრესი

◎ ტესტი

მოგწონთ თქვენი სამუშაო?

ჩვენი ტესტი დაგეხმარებათ, შეაფასოთ, რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი სამუშაოთი. ყოველ შეკითხვაზე შეარჩიეთ პასუხის ერთ-ერთი შემოთავაზებული ვარიანტი.

ყოველ პასუხზე ა) დაიწერეთ 8 ქულა, პასუხზე ბ) — 6, პასუხზე გ) — 4, პასუხზე დ) — 1 ქულა და პასუხზე ე) — შესაბამისად 0 ქულა.

1. როგორ გრძნობთ თავს, როდესაც დილით სამუშაოზე აპირებთ წასვლას?

ა) მსუბუქად და სიხარულით.
ბ) მტკიცედ და მშვიდად.
გ) ვნერვიულობ.
დ) აპათიურად.
ე) თითქოს არც ვარსებობდე.

2. სამუშაო ადგილზე თავს გრძნობთ...

ა) როგორც თევზი წყალში.
ბ) ფიზიზლად და მზად ვარ დავეხმარო ყველას.
გ) გაღიზიანებულად და გაწამებულად.
დ) სადილამდე კიდევ არა მიშავს რა, შემდეგ კი დაღლილობა მეუფლება.
ე) როგორც კატორღაში.

3. სამუშაოდან სახლში ბრუნდებით გრძნობით...

ა) სალამოს საქმეებისა და სიხარულის წინასწარი შეგრძნებით.
ბ) შესრულებული მოვალეობის გრძნობითა და სასიამოვნო დაღლილობით.
გ) თითქოს მხრებიდან მძიმე ქვა მომხსნესო.
დ) ყველაფრისადმი გულგრილად.
ე) ღრმა დეპრესიით, მეცოდება საკუთარი თავი, დამწუხრებით.

4. მზად ხართ იმუშაოთ ზეგანაკვეთზე?

ა) ზოგჯერ მიჩნდება სურვილი.
ბ) დიახ, სათანადო ანაზღაურების დროს.
გ) თუ მაიძულებენ ან მიკარნახებს გადაულახავი ვითარება.
დ) არა, მხოლოდ გათავისუფლების შიშით.
ე) არავითარ შემთხვევაში.

5. როგორი სიხშირით და რატომ იგვიანებთ?

ა) პრაქტიკულად არასოდეს, მხოლოდ სერიოზული პრობლემების გამო ან ტრანსპორტთან დაკავშირებით.
ბ) ზოგჯერ, ოჯახური პიროებების გამო.
გ) საკმაოდ ხშირად, ვერ ვასწრებ გამოძინებას ან მომზადებას.
დ) ხშირად, ისიც არ ვიცი, რატომ.
ე) პრაქტიკულად ყოველთვის, სხვადასხვა მიზეზების გამო.

6. გეშინიათ თქვენი ხელმძღვანელობისა?

ა) არა, იმიტომ რომ ყოველთვის ვასრულებ მის მოთხოვნებსა და რჩევებს.
ბ) ალბათ, პატივს ვცემ და დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლების ვერტიკალი სამართლიანობაზეა აგებული.
გ) ვშიშობ, მაგრამ მთლიანად მასთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს.
დ) ალბათ, კი, ვინაიდან ხშირად მიხდება კონფლიქტები.
ე) ზოგჯერ პანიკამდე, თუმცა, ხშირადაც არ ვარ სწორი.

7. თუ განიხილავთ სამსახურის სიტუაციებს სახლში?

ა) პრაქტიკულად ყოველთვის და კმაყოფილებით.
ბ) იშვიათად, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ დრო არ მყოფნის.
გ) ზოგჯერ ვუყვები სანახევროდ — პოზიტიურსა და ნეგატიურზე.
დ) ძალიან ხშირად ვჩივივარ ჩემს უფროსობასა და კოლეგებზე.
ე) ყოველთვის და ძალიან მჭირდება მახლობლების მხრიდან დამშვიდება და მხარდაჭერა.

8. თუ ხდება ხოლმე, რომ გინდათ ურთიერთობა კოლეგებთან არასამუშაო დროს?

ა) დიახ, ხშირად ვურეკავთ ერთმანეთს და ვხვდებით.
ბ) რატომაც არა, სხვა თუ არაფერი საქმე მაქვს.
გ) იშვიათად, რჩევისთვის.
დ) საკმაოდ ხშირად, მეგობართან ერთად ვიხილავთ პრობლემებს.
ე) აზრი?

9. როდესაც დასვენების დღეებში იხსენებთ სამუშაოს, მაშინ...

ა) განწყობილება მიუმჯობესდება — მე ხომ ჩემი პროფესია მომწონს!
ბ) არ მცალია ამისთვის — ისედაც გადატვირთული პიროვნული ცხოვრება მაქვს.
გ) განწყობილება ძველი რჩება — დარწმუნებული ვარ, რომ სამუშაოსთან დაკავშირებით ყველაფერი წესრიგში მაქვს.
დ) ვიწყებ ნერვიულობას.
ე) განწყობილება მიფუჭდება — კვლავ იქ უნდა წავიდე?

შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

72-დან 52 ქულამდე. თქვენ ძალიან გიყვართ თქვენი სამუშაო. როგორც ჩანს, თქვენ სავსებით გაძლევთ ხელს ურთიერთობა ხელმძღვანელობასთან და თანამშრომლებთან. მთავარია, არაფერი გააფუჭოთ, და ყველაფერი, რასაც ასე ბრწყინვალედ ართმევთ თავს დღეს, კიდევ უკეთ გამოგივათ.

51-დან 31 ქულამდე. დამოკიდებულება კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან მთლიანად ხელს გაძლევთ, დატვირთვა სავსებით ასატანია და მატერიალური მხარეც ძალიან არ გაწბილებთ. თუმცა... სულის სიღრმეში თქვენ, ალბათ, უფრო დიდზე ოცნებობთ.

30-დან 15 ქულამდე. განგაშის ატეხვა ჯერ ადრეა, მაგრამ სიტუაციას სამსახურში კომფორტულს ვერ უწოდებ. დაისახეთ მიზნად სამუშაო ადგილზე გატარებული დრო გახადოთ საინტერესო ან, უკიდურეს შემთხვევაში, გახადოთ იგი ისეთი, რომ ზიანი არ მიაყენოს თქვენს ფსიქიკურ მდგომარეობას.

15 ქულაზე ნაკლები. სასწრაფოდ გამოიცვალეთ სამსახური, წინააღმდეგ შემთხვევაში ნერვულ ჩავარდნას ვერ გაექცევით.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონი ვარსებობს

რესპუბლიკური ჭირი

15 აგვისტოს დედაქალაქის საკრებულოს ახალმა თავმჯდომარემ ირაკლი შიხიაშვილმა მართლაცდა სენსაციური განცხადება გააკეთა! როგორც შიხიაშვილმა ბრძანა, თბილისის საკრებულოს ახალი უმრავლესობა თბილისის საერთაშორისო აეროპორტისთვის საქართველოს პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებაზე ფიქრობს. თუმცა, თბილისის საკრებულოში რესპუბლიკელებისა და „ნაცების“ ერთობლივი ძალისხმევით, ეს საკითხი გაურკვეველი ვადით გადაიდო და ეს არც არის გასაკვირი, რადგან რესპუბლიკელებს და თბილისის საკრებულოში მოკალათებულ „ნაცმხედრიონელთა“ ბანდას, არაერთი მსოფლმხედველობრივი საკითხის გარდა, ზვიად გამსახურდიასადმი, და, საერთოდ, ქართული სულიერებისა და ტრადიციებისადმი პათოლოგიური ზიზღი აერთიანებთ. ყველამ ვიცით, რომ არსებობს „შავი ჭირი“, საქართველოში კი, აგერ უკვე ლამის ორმოცი წელია, არსებობს რესპუბლიკური ჭირი.“

„ასავალ-დასავალი“

გია ხუხაშვილი ახალ ბრალდებას პასუხობს

პრემიერის მრჩეველი საგარეო ეკონომიკურ საკითხებში გია ხუხაშვილი აცხადებს, რომ პოლიტიკიდან ის პრემიერზე ადრე, შემოდგომაზე წავა. მისი ფრაზები, რა თქმა უნდა, ოპოზიციის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა, რაც ხუხაშვილზე ახალი შეტევის საფუძველი ხდება. მაშ ასე, არის თუ არა რეალური ინფორმაცია, რომ პრემიერმა ივანიშვილმა ის საკუთარი ორბიტიდან ჩამოიცილა... ამბობენ, რომ ივანიშვილმა ყველაფერი იცის და ძალიან შეწუხებულია ხუხაშვილის გადაწყვეტილებით.

„ძრონიკა“

ირაკლი ოქრუაშვილის მორიგი თავდასხმა ნაციონალებზე

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ბევრი რამ ილაპარაკა „ნაციონალებზე“ და თუ მან ასე გააგრძელა, ნატოში აღარ მიგვიღებენ. საფრანგეთში გადახვეწილი ნამინისტრალი ევროპის მასშტაბით დადის და ნაციონალებს უბაგუნებს. იგი ნაციონალების მიმართ მტრულად არის განწყობილი, რაც გასაკვირი არაა. მართალია ოქრუაშვილი ანგელოზი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ნაციონალები მას არაკაცურად მოექცნენ... ახლა მას სამშობლოში ჩამოსვლა უპრობლემოდ შეუძლია და ამის გამო ბევრს ალბათ, გული უფართხალებს.

„ახალი თაობა“

რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრიდან მიდის?!

რობერტ სტურუამ, შესაძლოა, რუსთაველის თეატრი დატოვოს. ამის შესახებ რეჟისორი „ფეისბუქში“ საკუთარ გვერდზე წერს.

სააკაშვილმა, კულტურის მინისტრის ხელით, რუსთაველის თეატრის განადგურება მოახერხა. ნიჭიერი მსახიობები და უნიჭო ადმინისტრატორი ამ პროცესს, გაუგებარი ვნებებით შეპყრობილნი, ბოლომდე მიიყვანენ. მე ვზივარ ამ იდიოტურ კომპიუტერთან და ვფიქრობ: წავიდე თუ დავრჩე? თუ უკანალი ვინმე კონგრესმენს აქვს, მე იმერული ვაუკაცობა მშველის. ამ უნიჭო მებრძოლთა სიაში ვერ ჩავეწერები. ინგლისში ვიღაცამ მითხრა: მაყურებელს გონია თუ ტაკიმასხარა შექსპირის ტექსტს ამბობს, ეს მისი ტექსტიაო... და ზოგჯერ მსახიობიც ივჯერებს ამას... სამწუხაროდ... 55 წელია ვარ ამ ტაძარში და ასეთი დაძაბულობა არ ყოფილა... მე რა, 75 წლის ვარ... გუდ ბაი...

„რეზონანსი“

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ადამიანს მის წინ რიგის შეთხელება იმდენად უხარია, რამდენადაც მის უკან მომატება...

* * *

ჩემი ძმა ძალიან მიყვარს. იმასაც უყვარს დაიკო.

მივლინებაში წასულმა, ბინა დავუტოვე მისახედად. მან მაცივარში საგულისყურო მოწყობილობა ჩადგა: საკმარისია კარის გაღება საღამოს რვიდან დილის ექვსამდე, რომ ქალის სასიამოვნო ხმა გაისმას:

— გეყოფა ჭამა, ძრონავ!

ორ თვეში უკვე მოვიკელი ექვსი კილოგრამი.

— **მიხო,** შენგან დავორსულდი.

— როგორ თუ დაორსულდი, ჩვენ ხომ ერთად არც ვწოლილვართ?

— მე თვითონაც შოკში ვარ!!!

* * *

რუსეთული მენტალიტეტი:

— ასეთ ტალახში აქ რა გაცხოვრებთ?

— დიდი ამბავი — ჩაიცვამ ჩექმებს და გააბიჯებ...

* * *

აძ სადარბაზოზე საშაყირო განცხადება გავაკარი:

„იყიდება საწოლი ყავისფერი მოზარდისათვის ნატურალური ხის მასალისგან...“

ბურატინოსათვის ზედგამოჭრილი საწოლია.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მორიგე
პასუხისმგებელი
რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
299-62-77;
599 36-00-35

რედაქტორთა საბჭო:
ალეკო ა სლანიშვილი 599 56-81-86
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24